სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 ივნისი 2004 №142 (2161) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკი იქნება სკანდალი არა 2:2

სკანდინავიამ იტალია ჩაბექმა

TRAPATTONI BASTA



ჯოვანი ტრაპატონი

მავან ფილოსოფოსს უთქვამს, მომავალს წარმატება მოაქვსო. მეც ამის იმედი მაქვს. არ ვიცი დამტოვებენ თუ არა, ისე, იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კარგი ურთიერთობა კი მაქვს.

იტალიამ იტალიას ვერ მოუგო

გიმარაეშში ცრემლიც წვიმდა

კაატა
კვანტალიანი

ნათქვამია, წაქცეულს წიხლს არ აჭერენო და ნუ ვიტყვით „არიევედერჩი" და მისთანებს, ირონიად ჩაგვეთვლება, ბევრს ალბათ გაადიზიანებს კიდეც. ვთქვათ, რომ იტალიამ წაუგებლად ჩაამთავრა ჯგუფური ეტაპი, მაგრამ ბოლოს მაინც წაგებული დარჩა. რატომ? ეს უკვე მართლაც საკითხავია და ევროჩემპიონატის ბოლომდე და მერეც კარგა ხანს იქნება ხმაური იტალიელთა შერცხვენაზე. ამ ხმაურმა კი ეგებ ყველაზე მეტად ერთი ჭაღარა, სანდომიანი სახის მოხუცი შეიწიროს, რომელიც წუხანედი მატჩის საფინალო სასტვენს გაოგნებული სახით შეხვდა...

ძალზედ ახლოს იყო გუშინ პორტუ და გიმარაეში. ისე ახლოს, რომ ერთი ხელის გაწვდენა იყო ამ ორ ქალაქს შორის. ხედებით რატომაც. გიმარაეშში იტალია რომ ბულგარეთს ასკდებოდა, პორტუში დანია შეედეთს იმ ფრეს უგორებდა, იტალიას 10:0-ის მოგების შემთხვევაშიც ჯგუფში რომ ტოვებდა, მაგრამ სად იყო 10:0... ბულგარეთს ტაიმის ბოლოს პეტროვის პენალტით გამოჭერილი ჰყავდა მეტოქე.

გუშინ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ თანამედროვე ფეხბურთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ ფაქტორს.

ვინ იყო ბულგარეთი? ორ მატჩში შვიდი გოლის გამშვები და თავად ვერგამტანი გუნდი, მსაჯთა გულისწყრომაც რომ აკიდებული ჰქონდა და წითელ-ყვითლებს მოყოლებული დისკვალიფიკაციებით ლამის განახევრებული ძირითადი შემადგენლობით რომ შეუხვდა იტალიას. და ვინ იყო იტალია? დაჭრილი მხეცი. მოგებას მოწყურებული გრანდი და რაც მთავარია, მოტივირებული. ესეც ჩვენი ფსიქოლოგიური ფაქტორი: ადვილია თამაში თვით იტალიის წინააღმდეგ, როცა დასაკარგი არაფერი გაქვს. ძნელია თამაში აუტსაიდერთანაც კი, როცა ძალიან, ძალიან გჭირდება მოგება და თანაც ჰანდიკაპით. და მერე რა, რომ იტალია ხარ...

ამ დროს კი არაფერს ნიშნავს, 30-ჯერ რომ ურტყამ მეტოქის კარში, ჩხინკი გოლის გასატანად ერთი კონტრშეტევაც საკმარისია და სწორედ ის ერთი გაჭრა ბულგარეთმა ტაიმის ბოლო წუთზე. იტყვიან, მსაჯი დაეხმარა ბერბატოვს პენალტის მოპოვებაშიო. საეჭვოა, თანაც იტალიელთა გამამართლებელ არგუმენტად არ გამოდგება. ასეა თუ ისე, პენალტი დაიდო და იტალიას უკვე სამი გოლი ჰქონდა გასატანი მეორე ტაიმში, თანაც ხელის გაწვდენაზე მყოფ პორტუშიც უნდა შეეხვედა.

იტალიამ ვერც სამი გოლი გაიტანა და პორტუსკენ რომ გაიხედა, იქაც ვერ დახვდა სასიკეთო ამბავი.

თავად მატჩისეულ პერიპეტიებზე ალბათ ბევრიც არაფერია სათქმელი. გულით თამაშობდა ძამბროტა, თავდადებით პეროტა, შთამბეჭდავად კასანო და ყველას ხელს და ნერვებს უშლიდა დელ პიერო. მეორე ტაიმის დებიუტში კასანოს მიერ დარტყმულ და ხარიხის ქვეშ დავარდნილ ბურთს, ისედაც გოლს რომ ჰგავდა, ბულგარელებთან ჯავგურში პეროტა შეუხვდა და 1:1, ეს წუთი და პორტუც ხომ ახლოს იყო — იქაც 1:1. მერე ტომასონმა მეზობლად დანია დააწინაურა და ასეთ ვითარებაში იტალიას ნებისმიერი ანგარიშით მოგება ხელს აძლევდა. პორტუული ანგარიში დიდი სტიმული იყო „სკუადრა აძურასთვის", მაგრამ გოლი არ ჩანდა და გამოჩნდა მხოლოდ მაშინ, როცა მეზობლად უკვე იტალიელთა დამასამარებელი 2:2 იყო.

შედეგად, დრამატული ფინალი გამოვიდა, გოლით გამოწვეული სიხარული კასანოს წამსვე ცრემლით შეეცვალა და ტირილ-ტირილით ჩაამთავრეს იტალიელებმა მატჩის დარჩენილი წამები.

იტალია 2 — 22 ივნისი, 18:00 საათი, ჯგუფი. III ტური, გიმარაეში, ალფონსო ენრიკესი — ბულგარეთი 1

0:1 პეტროვი (45ბ), 1:1 პეროტა (48), 2:1 კასანო (90)

იტალია

1 ბუფონი

13 ნესტა, 23 მატერაცი

2 პანუჩი, 19 ძამბროტა

21 პირლო

14 ფიორე, 20 პეროტა

18 კასანო, 7 დელ პიერო

11 კორადი

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

ბულგარეთი

1 ზდრავკოვი

5 ზაგორჩიჩი, 18 პაფინი

7 ბორიმიროვი, 22 სტოიანოვი

8 მ. პეტკოვი

21 იანკოვიჩი, 15 ხრისტოვი

11 ლაზაროვი, 17 მ. პეტროვი

9 ბერგანტოვი

მწვრთნელი: პლამენ მარკოვი

შეცვლა

კორადი — 9 ვიერი (53), პეროტა — 3 ოდო (68), მატერაცი — 17 დი ვაიო (83)

შეცვლა

იანკოვიჩი — 20 ბოჟინოვი (46), პაფინი — 6 კოტევი (64), ხრისტოვი — 10 დიმიტროვი (79)

გაფრთხილება: მატერაცი (44), პეტროვი (45), ბოჟინოვი (46), სტოიანოვი (66), ლაზაროვი (81)

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი). 16 002 მაყურებელი

ჯარიმა: 14-23; **კუთხური:** 6-3; **კარისკენ დარტყმა:** 9-4; **კარში დარტყმა:** 13-6; **თამაშგარე:** 11-1



REUTERS გიორგი ბეგიაშვილი

სიმონე პეროტას გოლმა იტალიას ის იმედი გაუჩინა, საკვალიფიკაციოდ ბოლოს რომ მოჰკლეს



მორტენ ოლსენი

ვინც თამაშს უყურა, მიხვდება, რომ არც ჩვენ და არც შვედებს შეგნებულად არ დაგვიმთავრებია მატჩი ორთავესთვის სასურველი შედეგით.

დანია	22 ივნისი	შვედეთი
2	C ჯგუფი. III ტური ჰორტუ. ბესა	2

1:0 ტომასონი (28), 1:1 ლარსონი (47პ), 2:1 ტომასონი (66), 2:2 იონსონი (89)

დანია: 1 სორენსენი; 4 ლაურსენი, 3 ჰენრიკსენი, 6 ჰელვეგი, 5 ნ. იენსენი; 7 გრავესენი, 15 დ. იენსენი; 9 ტომასონი; 8 გრონკიაერი, 10 იორგენსენი; 11 სანდი

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

შეცვლა: ნ. იენსენი — 2 ბოგელუნდი (46), იორგენსენი — 19 რომედალი (57), დ. იენსენი — 17 პოულსენი (66)

შვედეთი: 1 ისაკსონი; 3 მელბერგი, 15 იაკობსონი, 7 ნილსონი, 5 ედმანი; 17 ანდერსონი; 18 იონსონი, 9 ლიუნგბერგი; 16 კალსტრიომი; 10 იბრაჰიმოვიჩი, 11 ლარსონი

მწვრთნელი: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი

შეცვლა: კალსტრიომი — 21 ვილჰელმსონი (72), ანდერსონი — 20 ოლბოკი (81)

გაფრთხილება: ედმანი (36), კალსტრიომი (62)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია). 26 115 მაყურებელი

ჯარიმა: 15-14; კუთხური: 7-9; კარისკენ დარტყმა: 6-5; კარში დარტყმა: 9-9; თამაშგარე: 0-3

ლარს ლაგერბეკი

მთელი 90 წუთი დიდი ბრძოლა იყო. დაცვაში პრობლემები გვქონდა და დანიელთა შეტევებს ძნელად ვუმკლავდებოდით, სამაგიეროდ, მათ ყართან შევქმენით მომენტები და გოლებიც გავიტანეთ.

2 გვჯერა თუ არა, სკანდინავიამ გაიარა 2

Euro 2004 PORTUGAL
გიორგი დარჯანია

კაცობრიობის ალბათ ნახევარი, მეტი თუ არა, ფეხბურთის გულშემატკივარია. ამ ნახევრის ნახევარს კი, მეტს თუ არა, ვერ დაეჯერებ, რომ დანიამ და შვედეთმა შემთხვევით ითამაშეს 2:2. მოკლედ, ბლომად ხალხი გამოდის. ამ მეოთხედ კაცობრიობაში კი უთუოდ არის ის ჟურნალისტი, მატჩის წინ დანიელთა მწვრთნელს მორტენ ოლსენს 2:2-ზე რომ ჰკითხა და პასუხად რისხვა მიიღო. ის ჟურნალისტი ალბათ, ახლა იძახის, ხომ ვამბობდიო.

მაგრამ, ცხადია, არიან ადამიანები, რომლებსაც გარიგებისა არ სჯერათ და ფიქრობენ, რომ ორით ორის თამაში გაურიგებლადაც შეიძლება.

ასევე ცხადია, რომ ამაზე ლაპარაკი დიდხანს გაგრძელდება.

ბოლო ტურამდე ცხრილში გვარიანად ჩახლართული ვითარება იყო, მაგრამ თამაშის მსვლელობას თუ მიადევნებდით თვალს, ამ ჩახლართულ ვითარებაში გარკვევა არ გაგიჭირდებოდათ.

თავიდან, როცა 0:0 იყო, შვედებს თავი ქუდში ჰქონდათ, დანიელებს კი გოლი სჭირდებოდათ. ამიტომაც დანიელები უფრო მეტს უტევდნენ. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ბურთი უფრო მეტხანს შვედთა ნახევარზე ტრიალებდა, თორემ დანიელთა იერიშებს ძნელად თუ დავარქმევთ სახიფათოს. ორი მეტნაკლებად გამოსარჩევი ეპიზოდი იყო — ჯერ იორგენსენმა ახლო მანძილიდან უბრალოდ დარტყმა ვერ მოახერხა, მერე კი გრონკიაერის დარტყმული კარს გვერდიდან მოხვდა.

საათის ნახევარი იწურებოდა, როცა დანიელებმა მაინც გაიტანეს. დალ ტომასონმა საჯარიმოს გარედან მოხდენილად გაისროლა, ბურთი წინ გამოსულ მეკარე ისაკსონს გადაეცალა და შორეულ კუთხეში ჩაეშვა. აქ თითქოს მეკარის შეცდომაზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ისაკსონი წინ რომ არ ყოფილიყო, მაინც საეჭვოა, ეს ბურთი აეღო — დარტყმა იყო მეტისმეტად კარგი.

ასეთი ანგარიში კი უკვე შვედეთს აღარ აწყობდა, რომელიც ვერაფრით იქნებოდა იტალიის ვერმოგების იმედად და თამაშმაც დანიელთა ნახევარზე ლოგიკურად გადაინაცვლა.

ლოგიკურ გადანაცვლებას ორი სახიფათო მომენტი მოჰყვა — ოლოფ მელბერგის თავური და მათიას იონსონის ძელი. შვედებმა ანგარიში მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გაათანაბრეს. ჰენრიკ ლარსონი საჯარიმოში შეიჭრა და მეკარე სორენსენმა წააქცია. პენალტი ლარსონმავე გაიტანა.

ლოგიკამ ისევ დანიელთა გოლი მოითხოვა. ამ დროისთვის ჯგუფის მეორე შეხვედრაში 1:1 იყო და დანიელები მხოლოდ იმის იმედად, რომ იტალია ბულგარეთს კიდევ ორ გოლს ვერ გაუტანდა, ვერაფრით იქნებოდნენ.



მათიას იონსონის ამ გოლმა მოსალოდნელი 2:2 გამოაცხო

მოედანზე ერთ ხანს საინტერესო არაფერი ხდებოდა და როცა ჩვენეული ლოგიკის სისწორეში ეჭვის შეტანა დავაპირეთ, დალ ტომასონმა მეორე გოლი შეაგდო. დანიელთა კუთხურის მერე შვედებმა ბურთი საჯარიმოდან გამოიტანეს, კასპერ ბოგელუნდმა უკან შეაბრუნა, მცველებმა დაბლოკეს, მაგრამ ბურთი ისევ დანიელებს, ამჯერად ტომასონს მიუვიდა — დანია დაწინაურდა, ლოგიკამ კი შვედთა მეორე გოლი, ანუ ყბადაღებული 2:2 მოითხოვა.

ლოგიკური იყო ისიც, რომ დანიელებს გოლის გაშვების შიში აღარ ჰქონდათ და როცა გაშვების არ გეშინია, მეტოქეს კი გატანა ჰაერივით სჭირდება, დიდი შანსია, გოლი გავიდეს.

სამართლიანობისთვის ისიც ვთქვათ, რომ დარჩენილ დროში დანიელებს შვედთა კონტრშეტევაზე გამოჭერა და დასჯაც შეეძლოთ, მაგრამ იმის დაჯერება, რომ არაზუსტად შეგნებულად ურტყამდნენ, ცოტა ძნელია.

2:2 ბოლოსწინა წუთზე გახდა. სორენსენმა მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი წინ დაიგდო და მათიას იონსონი, სად იყო და სად არა, იქვე ჩასაფრებული აღმოჩნდა.

წამატებულ წუთებში სამი შვედი მცველი ერთმანეთში აგორებდა ბურთს და საფინალო სასტვენს ელოდა. იგივეს დანიელებიც ელოდნენ და შვედთა ნახევარზე გადასვლაც კი არ უფიქრიათ. ნამატჩევს კი დანიელებმა და შვედებმა ერთად გაიხარეს.

იონ დალ ტომასონი

საბოლოო ცხრილი

შვედეთი	3	1	2	0	8:3	5
დანია	3	1	2	0	4:2	5
იტალია	3	1	2	0	3:2	5
ბულგარეთი	3	0	0	3	1:9	0

დანია და შვედეთი გავიდნენ მეოთხედფინალში

ლამოზიერი ცოლები



ინგლატერა? — მოვიდეს! პორტუგალია? — გამოუშვით!



— **ახლა კი საფრანგეთი,** ჩემო ძმებო... ვინ არის ზიდანი? რომელი ანრი? — ამ ხალისიანი და ხუმრობანარევი სიტყვებით შემოგვეგება კოიმბრას სტადიონის ალაყაფთან გვიან ღამით განთქმული ბერძენი საფეხბურთო ტელეწამყვანი სტეფანიოს დემეტრიოსი, იმპოზანტური და ყოველთვის კოხტა, რა თქმა უნდა, მწერალი ჟურნალისტისგან ყოველთვის განსხვავებულად ჩაცმული ხმელი და მოვლილი კაცი.

სტეფანიოსმა ჯერ კიდევ პირველი სათამაშო დღის მერე მითხრა: ესპანეთი ჯგუფში ჩარჩება, ჩვენ ოტო რეჰაგელი გვყავს. და ისიც დაუმატა, ჩემპიონი იტალია შეიქნებაო. ორშაბათ საღამოს მან, თავისი აზრით, საუკეთესო მწვრთნელთა ორკაციანი სიაც გააცნო სამხრეთელ ჟურნალისტთა ბირჟას: რეჰაგელი, რომელიც მან ზევსს შეადარა და პლუს კიდევ ჯადოსანი უწოდა და კარელ ბრუკნერი.

— განა ერიკსონი მწვრთნელია? ანდა სანტინი? — ჩაიცინა მან, ამ დროს კი ტელეფონი აუწკრიალდა და ნომერს რომ დაჰ ხედა, ერთგვარი მარიაჟობითაც კი თქვა: მაპატიეთ, ბიჭებო, ცარტასი მირეკავს...

მოკლედ, ბერძნები ფრანგებს ხვდებიან და შეშფოთებისა არაფერი ეტყობათ, მე ალალად ვკითხე, ინგლისელები ხომ არ გერჩივნათ-მეთქი და ერჩივნათ, მაგრამ არ გატყდნენ. თუმცა რატომ ერჩივნათ? მათ რეჰ აგელის განუზომელი იმედი აქვთ, რაღაც ისეთს მოიფიქრებს, რომ ფრანგებს განზე დავტოვებთო. ეს პირველადაა, რომ საბერძნეთს უცხოელი მწვრთნელი ჰყავს და ძალიანაც წაადგა, შმაგი ოტოს საქმეებით ყველა კმაყოფილია.

რატომაც არა! აგერ, ჩვენცა გვყავს უცხოელი მწვრთნელი და სულ მალე ბერძნებსაც შევხვდებით, თანაც ორჯერ. აი, პოლონელებს კი თურმე ძალიან უნდათ უცხოელი მწვრთნელი, მაგრამ თავიანთ ფედერაციას ჯვარი ვერაფრით დასწერეს. საერთოდ კი, ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნების საფეხბურთო პრობლემები ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს, ოღონდ ახლა ამაზე ნუ ვისაუბრებთ, რადგან ბერძნები ფრანგებს ხვდებიან.

ფრანგებმა ორი თამაში მოიგეს ჯგუფში, მაგრამ სანტინის პრობლემები აქვს. ეს აშკარაა და ინგლისთან მატჩის შემდეგ თავაწყვეტილმა ფრანგულმა მედიამ თანდათან დაუწია ხმას და მწვრთნელსაც უხერხული შეკითხვების დასმა დაუწყო. მაგალითად, დაცვის შესახებ. ორშაბათ საღამოს ტიერი ანრის რომ გოლები არ გაეტანა, მისი კრიტიკა საერთოდაც აპოთეოზს მიაღწევდა. პირველი ორი თამაში ანრიმ ისე ჩაატარა, ეზოში რომ თამაშობენ ხოლმე ტექნიკური ბიჭები, ოღონდაც ჯანი რომ არ მოსდევთ და მხოლოდ ადგილზე ფინტი გამოსდით.

ჟაკ სანტინის კი ერთი უცნაური ჩვეულება აქვს: პრესკონფერენციაზე ბოთლს შემოიყოლებს და იქიდან წყალს სვამს ხოლმე. ოღონდაც, იმ ბოთლებში მაგიდაზე დახვედრილი ბოთლებიდან ასხამს წყალს და არის ერთ წუწაობაში. პასუხები მშვიდი და ჭკვიანური აქვს, ოღონდაც, როგორც ჩვენში იტყვიან, რიჟა. გუნდის ამბავს სანტინი ასე იოლად არ გასთქვამს.

— მადლობა ფეხბურთელებს, მათ საუცხოოდ ითამაშეს.

მაგრამ საფრანგეთ—შვეიცარიის საუკეთესო მოთამაშედ ზიდანი გამოცხადდა. ზიზუ ჩვეულებისამებრ ბლანდავდა რამეებს, ოღონდაც სტატისტიკას რომ ჩახედოთ, ძალიან დიდი წუნი ჰქონდა გადაცემებსა და ბურთის ფლობაში. ზიზუ ზიზუა, ლაპარაკობს მშვიდად და რატომღაც სულ გაქცევაზეა.

— გაგეხარდათ მეორე ეტაპზე გასვლა, მისტერ სანტინი? 78-ე წუთამდე ყველაფერი ჰაერში ეკიდა.

— იცით რა, ჩვენ ყველას გვეჩქარება ჩვენი ცოლების ნახვა. რომ გავვარდნილიყავით, ამაღამ ჩვენს ცოლებს შევხვდებოდით. მაგრამ გავედით და ამაღამ მაინც შევხვდებით ჩვენს ცოლებს. მოვიგეთ და ვფიქრობ, ისინი ლმობიერნი იქნებიან ჩვენს მიმართ.

აი, ჭეშმარიტად ფრანგული პასუხი.

— დაცვა? მოგეწონათ დაცვის თამაში?

— ამაზე ხვალ გიპასუხებთ, როცა ყურადღებით ვნახავ ვიდეოს. ხვალ საგანგებო პრესკონფერენცია გვექნება სანიოლის ტრავმის შესახებ, დაცვაზეც იქ ვილაპარაკოთ.

— თქვენ ბერძნებს ხვდებით.

— მგონი, ეგ ამბავი ვიცი...

— თუ იცნობთ ამ გუნდს?

— ჩვენი ტექნიკური ცენტრის დახმარებით ხვალვე გვექნება საჭირო მასალები, მათ შევისწავლით და ვიფიქრებთ. აქ სუსტი გუნდები არ არიან, შვეიცარია გავარდა, მაგრამ არ იყო სუსტი.

— ანრიმ გოლების გატანა დაიწყო. შვებით ამოისუნთქეთ?

— არა აქვს მნიშვნელობა, დაიწყო თუ არა ანრიმ თვითონ გოლების გატანა. ჩვენ არა ვართ ისეთი გუნდი, ერთი კაცი რომ გვყავდეს დაგეშილი კარზე. ტრეზეგეს გააქვს, ზიდანს გააქვს, ერთი სილვესტრმაც შეაგდო. ამიტომ, ვილაც ყოველთვის გაიტანს. ეს ასეთი სტილია.

დამიჯერე, სანტინი და ერიკსონი ნასწავლი ხალხია, ოღონდაც მწვრთნელობას სხვა რამეც უნდა — ისევ ამბობს სტეფანიოსი.

თქვენთვის მომინდვია, ან ამ ბერძენს დაუჯერეთ, ან ჟაკ სანტინის. თამაში კი მართლაც მხურვალე იქნება.

ეს უნდა მომხდარიყო. ეს თამაში უნდა შემდგარიყო, რადგან ინგლისელებიცა და პორტუგალიელებიც ამ საქმის ოსტატები არიან. ორივე მათგანი წაიმტვრევს ხოლმე კისერს და მერე ამ წანამტვრევის გამოსწორება დიდი ოფლისღვრით უწევს. მერე, ამ შეცდომების გამოსწორებაში, რომელიმე ამათგანი გადაეყრება ხოლმე ვილაცას, ვისთანაც დაუვიწყარ, სალაპარაკო თამაშს გამართავს და ან წააგებს, ანაც მოიგებს, რაც მერე წლობით შეიქნება სალაპარაკო.

სიმართლე ითქვას და, უფრო წააგებს ხოლმე. მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს ხვდებიან და რომელიმემ უნდა წააგოს.

პორტუგალია — ინგლისის მეოთხედფინალი მეტად თავისებური მომენტია ამ ჩემპიონატში. პორტუგალიაში თავი მოუყრია ბარე 40 ათას ინგლისელს. ზოგადად, ინგლისელებისთვის პორტუგალია საყვარელი, ნაჩვევი და ნაცნობი ადგილია. აქ ისედაც უამრავი ინგლისელი ცხოვრობს და ზაფხულობით ხომ ისვენებს და ისვენებს.

ინგლისელებს უყვართ პორტუგალია, პორტუგალიელებსაც არ სძულთ ინგლისელები. ისინი ერთმანეთს იცნობენ და ერთმანეთში ტკბილად არიან.

ამ ჩემპიონატის თავისებურება ისიც არის, რომ რაგინდარა ქვეყნის ფანები გამორჩეული პატივისცემით და სითბოთი ექცევიან მასპინძლებს. ყველა ჩამოსული თავისი გუნდის შემდეგ პორტუგალიას ქომაგობს. მათ შორის, ინგლისელებიც. ამის ახსნა მარტო მასპინძლობით არ გამოვა. ეს პორტუგალიელთა გამორჩეული სითბოს და კეთილგანწყობის ამბავია, რასაც ევროპელები ნაჩვევნი არიან. ამიტომაც ხშირია ხოლმე სურათი: მავან ფანს თავისი ქვეყნის სამოსი კი აცვია, მაგრამ შარფი ან ქუდი პორტუგალეთისა მოურგია. ასევე არიან ინგლისელებიც.

მაგრამ ორშაბათ ღამით მოზეიმე ინგლისელები გულანთებულნი უყვიროდნენ პორტუგალიურ მიკროფონებში, რომ მათ საყვარელ პორტუგალიას ბედმა არ გაუღიმა, რადგან ინგლისი აუცილებლად მოიგებს.

აი, ლუიშ ფიგუმ კი თქვა, რომ მეოთხედფინალში უმძიმესი მეტოქე ერგოთ, მაგრამ ამას არ დაგიდევენ. ბექჭმა თბილად მოიხსენია ლუიში და კრისტიანო რონალდო.

მოკლედ, არის ერთი წინასაბრძოლო სალამ-ქალამი, სვენ გორან ერიკსონს კი მადა ჭამაში მოუვიდა და გამოაცხადა, მგონი, დასამალი არ არის, რომ ჩვენ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძვით, რაიც ხელგვეწიფებაო.

მეტიც, ერიკსონმა თქვა, გუნდში პელე მყავს და დანაშაულია, როცა პელე გყავს, უმაღლეს მიზნებზე არ იფიქროო.

დიახ, მეტი კი არაფერი გაუკეთებია პელეს ამ ხნისა რომ იყოო, თქვა შვედმა.

— მე გოლებს არ ვამბობ. ის ნამდვილ ფეხბურთს თამაშობს, პასები ნახეთ — აუღელვებელი სკანდინავიელის ამგვარი წამონთება მართლაც მოულოდნელია. უეინ რუნი უკვე ირიცხება ჩემპიონატის მთავარ მეგოლედ და მთავარ აღმოჩენად. „ევერტონმა“ 50 მილიონ გირვანქამდე გაზარდა მისი ფასი.

ჩემი მოკლე ჭკუით კი, მის გარეშე ინგლისის ნაკრები საერთოდ არ იარსებებდა. იწვალებდა პოლ სქოულზი, სტივ ჯერარდი მაინც გააკეთებდა თამაშში ერთ სახიფათო პასს წინ და ერთ არანაკლებ სახიფათოს უკან და ასე შემდეგ, ბექემი რომ აღარ ვახსენოთ, მაგრამ გუნდი გუნდად არ იქნებოდა.

აი, რა ქნა ხორვატებთან უეინ რუნიმ: სულ ოთხჯერ დაარტყა კარში. მიზნისთვის არც ერთი არ აუცდენია, ოთხივე დარტყმა კარში წავიდა. ორი მეკარემ აიღო, ორი კი გოლად იქცა. თანაც სწორედ ამ გოლებმა მოკლეს ხორვატთა თამაში. თანაც რუნი და მისი მასწავლებლები სულელები სულაც არ გამოდგნენ, ბიჭმა ერთადერთი ჯარიმა აიკიდა.

თამაშის წინ კი ოტო ბარიჩი ამბობდა, ე მაგ რუნის შიმუნიჩს მივუყენებ და ისე გამოიყვანს მწყობრიდან, რომ ყვითელს მაინც აჰკიდებსო. არ გამოვიდა — უეინის ფეთქებადი ხასიათი ცნობილია, ოღონდაც, სტივ მაკლარენმა ბევრი იმუშავა და იმგვარად დაარიგა ბიჭი, რომ იმანაც აღარ იქნია ფეხები.

ინგლისელთა ბანაკში კი ერთგვარი დავა მაინც გრძელდება. ფეხბურთელებს არ მოსწონთ შვედის მიერ მოგონილი ევრეთ წოდებული დაიმონდის სისტემა, რომბისებურად განლაგებული ოთხი ნახევარმცველი. გაუშვი, გეფერ, ჩვეულებრივად ვითამაშოთო, იხვეწებიან.

ინგლისის ნაკრებს რთული საქმე ისა სჭირს, რომ მძიმედ ხურდება და პირველ ნახევარ საათს მოძრაობაც უჭირს და პასების გადაბმაც. მერე იცოცხლე, გამოსდით, ოღონდაც, მერე ეგებ გვიანიც იყოს. ხომ გახსოვთ, როგორ ითამაშა პირველი ნახევარი საათი პორტუგალიამ ესპანეთთან? იმ სისწრაფეს ხომ გამკლავება უნდა, მაგრამ, მეორე მხრივ, უეინ რუნისაც უნდა გამკლავება. მაიკლ ოუენს გოლები ვერ გააქვს, მაგრამ ძალიან კარგად ეხმარება რუნის. პორტუგალიელთა დამცველობა კი, აბა, ვინა თქვა?!

მზადდება ჩემპიონატის ყველაზე ხმაურიანი და ყველაზე ფერადი, ალბათ ყველაზე დაუვიწყარი თამაში. ორიდან ერთი ამთავრებს. მოსულა! გამოუშვი! ასეთია განწყობა.





დიკ ადვოკაატი

D ჯგუფი. III ტური. დღეს

ბრაგა. მუნიციპალი. 23.45

ჰოლანდია – ლატვია

სავარაუდო შემადგენლობები

ვან დერ სარი; რაიციგერი, სტამი, ბუმა, ვან ბრონკჰორსტი; ზეედორფი, დავიდსი, კოკუ; ვან დერ მეიდე, რობენი, ვან ნისტელროი

კოლინკო; ისაკოვსი, ზემლინს კისი, სტეპანოვსი, ბლაგონადეჟდინსი; ბლეიდელისი, ლობანიოვსი, ასტაფიევსი, რუბინსი; პროხორენკოვსი, ვერპაკოვსკისი

მსაჯი: ჯიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

აბა, რა დარჩა?

სტარკოვსმა მოგება გამოთვალა

ალექსანდრს სტარკოვსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიკ ადვოკაატი ლატვიასთან შეხვედრაში ფსონად თავის სამსახურს ჩამოდის. ეს ამბავი დღეს, ბრაგაში ხდება, სადაც D ჯგუფში დალაგდება ყველაფერი, რის მერეც ევროპას მეოთხედფინალებზე შეუძლია გადართვა. სიტუაცია ისეთია, რომ ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდება, ოღონდ მარტო ეს რომ ჰყოფნიდეს, რა უჭირთ, თავისი ბრძოლის პარალელურად ორივეს იმედი უნდა ჰქონდეს, რომ გერმანია პატივს დასდებთ და უმოტივაციო, უკვე მეოთხედფინალისტ ჩეხეთს ვერ აჯობებს.

გავიხსენოთ ჰოლანდიური ამბები: ადვოკაატის გუნდი პირველ დღეს, გერმანიასთან (1:1) დიდი ვერაფერი გამოჩნდა, ხოლო მეორე შეხვედრაში ჩეხეთთან 2:0-ს იგებდა და საბოლოოდ 2:3 წააგო. ის, რომ ბევრი ამ თამაშს ჯერჯერობით ტურნირის საუკეთესო თამაშად მიიჩნევს, ჰოლანდიელებისთვის დიდი ვერაფერი ნუგეში უნდა იყოს და შეგახსენებთ ერთსაც, ჩეხებთან მარცხის მიზეზად მთელი ჰოლანდია ადვოკაატის შეცდომას, არასწორ ცვლილებას მიიჩნევს — არიენ რობენი მოედანზე უნდა დაეტოვებინაო.

ცნობისთვის: ადვოკაატს ჰოლანდიის ნაკრებთან 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე აქვს კონტრაქტი დადებული, მაგრამ ევროპის მიმდინარე ჩემპიონატმა შეიძლება უამრავი რამ შეცვალოს.

„ჩეხებთან თამაშის ბედი და მსვლელობა იმ ერთ შეცვლას არ შემოუტრიალებია“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომელიც საქართველოში, კერძოდ ბათუმში 1995 წელს „პსვ ეინდჰოვენის“ თავკაცის რანგშია ნამყოფი.

ჰოლანდიელთა ნახევარდაცვის გული, ედგარ დავიდსი: „ახლა ჩვენ იმაზე ვართ დამოკიდებული, თუ ჩეხეთი რას იზამს და ეს ძალიან არ მოგვწონს. ყურადღება კი მაქსიმალური უნდა მოვიკრიბოთ. ჩვენ კარგად ვითამაშეთ როგორც ჩეხების, ასევე გერმანელების წინააღმდეგ. ასე რომ, ლატვიას უნდა მოვუგოთ“.



ედგარ დავიდსი

არიენ რობენი

მარის ვერპაკოვსკისი

ამბობენ, რომ ადვოკაატი ლატვიელებს იმავე შემადგენლობას დაუპირისპირებს, რომლითაც ჩეხეთს დაუხვდა, თუმცა ერთი სხვაობა შეუძლებელია რომ არ იყოს, რადგან მცველი ჰეიტინგა გაძევების გამო დისკვალიფიცირებულია.

ახლა კი ლატვიელთა ყოჩაღ თავდამსხმელს, მარის ვერპაკოვსკისს მოვუსმინოთ: „პირველი ოცნება ფინალურ ეტაპზე მოხვედრა იყო და აგვიხდა. ნეტავ რატომ არ შეიძლება, რომ მეორე ოცნებაც აგვიხდეს?“

შეგახსენებთ, რომ ეს ის ვერპაკოვსკისია, გერმანელებთან შეხვედრაში პენალტი რომ ერგებოდა, მაგრამ მსაჯმა არ დანიშნა.

ლატვიელთა მწვრთნელი ალექსანდრს სტარკოვსი: „ჩეხებთან წავაგეთ, გერმანიასთან ფრედ ვითამაშეთ. რა შედეგი დაგვრჩენია?“

პაპუნა კედია

D ჯგუფი. III ტური. დღეს

ლისაბონი. ჟოზე ალვალადე. 23.45

გერმანია – ჩეხეთი

სავარაუდო შემადგენლობები

კანი; ფრიდრიხი, ვიორნსი, ნოვოტნი, ლამი; ჰამანი, ბაუმანი; შვაინსტაიგერი, ბალაკი, ფრინგსი; კურანი

ბლაჟეკი; ჰუბშმანი, უიფალუში, ბოლფი, ჟირანეკი; პლასილი, ტისი, შმიცერი, ვახოუშეკი; ბაროში, ჰაინცი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

ჩეხებმა საწოლები შეივსეს

გერმანიის წინ სექსი სასარგებლოა

მეოთხედფინალში გასულ ჩეხ ფეხბურთელებს ნაკრების უფროსობამ ცოლებთან შეხვედრის უფლება მისცა. ქალბატონები ქმრებს ბაზაზე ესტუმრნენ. „დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ჩემი მეუღლე მხოლოდ ორჯერ ვნახე და ძალიან მენატრება“ — თქვა ტომაშ უიფალუშმა, რომელიც დღეს სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„საქმე მხოლოდ სექსში არაა, ასეთი შეხვედრა ბიჭებს ფსიქოლოგიურად განტვირთავს“ — განაცხადა ნაკრების ექიმმა.

კარელ ბრუკნერი ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს და ეს არცაა გასაკვირი, მათ ხომ მეოთხედფინალისთვის ძალების დაზოგვა სჭირდებათ. ცხადია, ჰოლანდიელები სამართლიანი თამაშის წესის დაცვას მოითხოვენ, რადგან „ნარინჯისფერთა“ ბედი ამ მატჩშზე ჰკიდი, მაგრამ ბრუკნერს მთავარი მოთამაშეების „შენახვისთვის“ ვერავინ დაძრახავს.

გერმანელთა ბანაკში სიმშვიდეა. ვარჯიში შნაიდერმა და ჰამანმა გამოტოვეს, თუმც მწვრთნელმა თქვა, რომ ისინი სადღეისოდ მზად იქნებიან.

ჰამანი გუნდში შექმნილი ვითარებით კმაყოფილია. მისი აზრით, ოთხი წლის წინანდელ გერმანიის ნაკრებში შინაარეულობა იყო, ამჟამად კი ყველაფერი ფრიადზეა: „ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლა შეგვიძლია“.

რუდი ფიოლერი: „ჩემი ფეხბურთელების მჯერა, ახლა ყველაფერი ჩვენს ხელთაა. უნდა მოვიგოთ და დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება“.

ოლივერ კანისთვის მნიშვნელობა არ აქვს, როგორი შემადგენლობით ითამაშებს ჩეხეთი: „აქ იმისთვის არ ჩამოვსულვართ, რომ ჯგუფში ჩავრჩეთ. ვიმედოვნებ, ჩეხეთთან მატჩი ამ ტურნირზე გერმანელებისთვის ბოლო არ იქნება. ჩემპიონატის დაწყებამდე მიზნად მეოთხედფინალში გასვლა დავისახეთ და ამას მივაღწევთ. ჩეხები შემტევ ფეხბურთს ეტრფიან და დაცვაში მოიკოჭლებენ. პირველ ორ შეხვედრაში რომ ბევრი საგოლე მომენტები ჰქონდათ და ხუთიც გაიტანეს, მაგრამ ყოველთვის ვერ იხეირებენ.

რუდი ფიოლერი კვლავ 4-5-1-ით თამაშს აპირებს, ანუ თავდასხმაში მხოლოდ კევინ კურანი იქნება, მის სიახლოვეს მიხაელ ბალაკს გაამწესებენ.

„ამ ტაქტიკამ ჰოლანდიასთან გაამართლა — თქვა მიხაელ სკიბემ — გვსურს, რომ ბალაკი უფრო წინ იყოს წაწეული და შეტევებში ხშირად მონაწილეობდეს. ჩეხებისთვის ამ მატჩს აზრი აღარ აქვს, რადგან ჯგუფიდან გასულები არიან, არ ვიცით, ბრუკნერი რას შემოგვთავაზებს და ამის გამო გაურკვევლობაში ვართ“.

ოლივერ კანს ჰგონია, რომ ჩეხები თაღლითობენ: „სიმართლეს თვალებში შევხედოთ. მსოფლიოში ნებისმიერი გუნდი ოცნებობს გერმანიის დამარცხებაზე. ამიტომ ვფიქრობ, რომ კარელ ბრუკნერი მაინც უძლიერეს შემადგენლობას დაგვიპირისპირებს“.

ვაჟა ხუციშვილი

ჩეხეთი	2	2	0	0	5:3	6
გერმანია	2	0	2	0	1:1	2
ჰოლანდია	2	0	1	1	3:4	1
ლატვია	2	0	1	1	1:2	1



ოლივერ კანი ეჭვობს, რომ დღეს პაველ ნედვედიც ითამაშებს

EURONEWS

ᲐᲠᲘᲡ, ᲞᲔᲚᲔ!

ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲘᲗ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ, ᲠᲣᲜᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲣᲒᲔᲑᲡ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲛᲐ გაზეთებმა 18 წლის უეინ რუნი პელედ მონათლეს. საამისოდ ინგლისური მედიისთვის რუნის ხორვატებთან ნათამაშები (4:2) სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, მაგრამ თუ უფრო დაკვაზუსტებთ, ჟურნალისტებს ხელჩასაჭიდი ინგლისის ნაკრების შვედმა მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა მისცა. პირველმა პელე სწორედ ერიკსონმა ახსენა, როდესაც თავისი ფეხბურთელი 1958 წელს ამობრწყინებულ ჭაბუკ ბრაზილიელს შეადარა, გაზეთებს კი მეტი რა უნდოდათ.

„დეილი მეილმა“ „ევერტონის“ თავდამსხმელის ის ფოტო გამოაქვეყნა, რომელზეც იგი ხორვატთა კარში გატანილ მეორე გოლს ზეიმობს და ზედ დიდად დააწერა: „ახალი პელე“.

„სანი“ — მოგეხსენებათ ეს ტაბლოიდი ინგლისში ყველაზე დიდტირაჟიანია — სხვას, აბა, როგორ ჩამორჩებოდა და ასეთი სათაური თუ შეძახილი მოიფიქრა: „პელე II“.

საერთოდ, ბრიტანულმა გაზეთებმა რუნისთან, ხორვატებზე გამარჯვებასთან და ინგლისის ნაკრებთან დაკავშირებული ყველა შესაძლო თემა გადახარშ-გადმოხარშეს, რითაც ქვეყანაში უზომოდ გააღვივეს იმედი იმისა, რომ ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდება. ასეთი აჟიოტაჟი ამ ქვეყანაში 1996 წლის შემდეგ აღარ ყოფილა, როდესაც ევროპის ჩემპიონატს თავად მასპინძლობდნენ.

„გავედით“! წერია უშველებელი ასოებით „სანის“ პირველ გვერდზე. გაზეთში 10 გვერდზე მეტი აქვს დათმობილი ხორვატების ძლევას და ამ ათ გვერდშია მოქცეული ინგლის-პორტუგალიის ბოლო რვა დაპირისპირების ისტორიაც. მოგეხსენებათ, ინგლისელები ხუთშაბათს მეოთხედფინალში პორტუგალიელებს შეხვდებიან.

„სანზე“ შორს წავიდა „დეილი სტარი“, რომელიც რუნის ინგლისის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელს უწოდებს და წერს:

„საკუთარი თავის რწმენა, ამპარტავნობა, საზრიანობა, პასების გადაწოდების უნარი და გოლის ალღო ერთად საუკეთესო ფეხბურთელს იძლევა. ეს ის მოთამაშეა, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის განსაკუთრებულ მოვლენად გარდაქმნა შეუძლია“.

„დეილი მეილი“: „რუნი შესაძლოა მულტფილმის საყვარელ გმირს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში, დღეს პორტუგალიაში ყველაზე სახიფათო ფეხბურთელია. მას შიში არ სჩვევია და სწორედ ამან მისცა ინგლისს დიდი ბიძგი გამარჯვებისკენ“.

„დეილი მირორი“: „აბა, ახლა ნებისმიერი მათგანი გამოუშვით, ნებისმიერი. ჩეხეთი, იტალია, შვედეთი და თუ გინდათ ისევ საფრანგეთი. ჩვენ რუნი გვყავს კარგ ფორმაში და სხვები, მასზე უფროსები მისგან ცეცხლს იღებენ, რაც ინგლისის ნაკრებს საჭოჭმანოსა და ნაკლს აღარ უტოვებს“.

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ

ᲐᲕᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ



ისე დაცხა, ლაპარაკის თავი აღარ მაქვს. არც არის მაინცდამაინც სალაპარაკო, რა უნიჭო ჩემპიონატიც მიდის, ისაა თემებიც. ეხლა ვიღაც ახალი, დიდი ტანის ინგლისელი უპოვნიათ და იმის ვარსკვლავად შემოსაღებას ცდილობენ. არადა, ეგ ჯერ კიდევ როდის გვაქვს გავლილი, სხეულის დიდი მასა და ამ მასის ჩქარი გადაადგილება ვარსკვლავობას რომ ნიშნავდეს, თბილისი-ფოთის მატარებელი „ოქროს ბურთის“ ლაურეატი იქნებოდა. უი, დედა, როგორ ცხელა... არა, ინგლისის მოყვარულებს მაინც ვერაფერს გააგებინებ და ჯობია თავი დავანებოთ. ნუ, რა უნდა ელაპარაკო ხალხს, რომელიც თითქმის ათი წელიწადია გვიმტკიცებს, რომ მომღერალი ქალი, გვარად ადამსი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. თან ეტყობა, ამას რომ გვიმტკიცებდნენ, გულის სიღრმეში ხვდებოდნენ, რაღაც ნი ტოს რომ ამბობდნენ და ეხლა დიდ ბიჭზე ცდილობენ გადართვას. დაიცა, ჯერ ლამაზი გოგოც მოაყვანინონ ცოლად, მერე ნახავთ ნაღდი ვარსკვლავის გამოჭედვას „სანის“ რედაქციაში და ბი-ბი-სის სტუდიაში.

უიმე, დედა, როგორ დაცხა. თან სალაპარაკოც არაფერია. იმ დღეს ქართველებს დაუტრაბახიათ, ლატვიური ფეხბურთის ფენომენი ჩვენ შევქმენითო. დალოცვილებო, ქართული ფეხბურთის რამე შეგექმნათ, მაგრამ რას გაუგებ ნამდვილად ნიჭიერ ხალხს. თუმცა, რატომ ვთქვი ეხლა მე ეს ამბავი, რა შუაში იყო? სულ სიცხის ბრალია...

და საფრანგეთი გაძვრა მაინც

ᲖᲘᲜᲔᲓᲘᲜ-ᲖᲘᲓᲐᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ?



ხომ? შვეიცარია კაცურად დადგა, ესენი კი რაც არიან, კიდევ ერთხელ გამოაჩინეს. თან ეს საზიზღარი ზიდანი... გოლის გატანა მარტო ჯარიმიდან და კუთხურიდან იცის, თამაშიდან კიდე ბოდიში. არა, რა არის იცი? დიდი ფეხბურთელი თუ ხარ, შენი გუნდი ცუდად რომ თამაშობს, მაშინ უნდა გამოიჩინო თავი და მარტომ გაიმარჯვო, რასაც ეგ ზიდანი ვერასდროს აკეთებს. აი, შვეიცარიასთანაც, ორი გოლი ისევ ანრიმ გაიტანა, თორემ წასული იყო ფრანგების საქმე. ნიჩივო, მათ საბერძნეთი გააგდებს, აგერ თქვენ და აგერ მე.

რუნი მაგარია, რუნი... და ქართველებმა ლატვიური ფეხბურთი შექმნეს... ბუს რა ჰქონდა, ყვავს გაჰქონდაო.

ესპანელებისგან კიდევ რა გინდათ, რისთვისაც გაუჩენია არსთა გამრიგეს ის კი გააკეთეს, ჯგუფში ითამაშეს და მეტი რა ექნათ? ხომ გაგიგონიათ, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო.

რა ანდაზები ამიტყდა?.. სულ საძაგელი სიცხის ბრალია. ოთარ, ჯიგარო, მიდი ერთი ტრიბუნიდან ჩამოხტი და პატარა გაირბინგამოირბინე, თორემ მომწყინდა ძალიან ამ ევროპის ჩემპიონატის შემყურეს. ჩამოხტი, გაირბინ-გამოირბინე და იყვირე, რუსი ვარ, რუსი ვარო, გამისწორდება.

პორტუგალია მეოთხედფინალშია. ვაი, სირცხვილო! ამ დონის გუნდები ადრე, ფეხბურთი რომ ფეხბურთობდა, საერთოდ შეჯიბრებაში ვერ ხვდებოდნენ, ბერძნებზე კიდევ, ზემოთ კი ვთქვი ფრანგებს მოუგებენო, მაგრამ მეორე მხრივ, ვამბობ, რომ წააგებენ, იმიტომ, რომ წაგებით მოხვდნენ მეოთხედფინალში და თან ვისთან, ოთარასთან წაგებით. ერთი სიტყვით, მაგათი კიდევ უფრო წინ წასვლა უსამართლობაა და ანტიფეხბურთი.

თუმცა, მეც დავიბენი ეხლა, მთელი ეს თქვენი ევრო 2004 ანტიფეხბურთი არ არის?

ამ სიცხისგან ძალიან რამეების ლაპარაკზე გადავედი, აი.

ლატვია მაგარი ყოფილა და რუნი ქართველებს შეუქმნიათ. ეს რა გავიგე.

EURONEWS

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმბოლური გოლი

შვეიცარიელი თავდამსხმელი იოჰან ვონლანტენი ძალიან ბედნიერია იმით, რომ ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე შეიქნა

18 წლის ფეხბურთელი ამ ჩემპიონატზე პირველად თამაშობდა ეროვნული ნაკრების მაისურით და ბედმა გაუღიმა — საფრანგეთის ნაკრების კარში გოლი შეაგდო. ეს მატჩის 26-ე წუთზე მოხდა, როდესაც საგოლე პასი რიკარდო კაბანასმა მიაწოდა, მან კი შორეული ძელისკენ, კუთხეში, დაბლა დაარტყა და ინგლისელი უეინ რუნის მიერ რამდენიმე დღის წინ დამყარებული რეკორდი მოხსნა. საინტერესოა, რომ რუნიზე სამი თვით უმცროსმა ვონლანტენმა ინგლისელის დღემოკლე რეკორდი იმავე სტადიონზე, ბურთის იმავე კარში შეგდებით მოხსნა. და კიდევ, რუნის თავისი გოლი სწორედ ვონლანტენის გუნდის კარში ჰქონდა შეგდებული ოთხი დღით ადრე.

„ცხადია, მიხარია, მაგრამ მხოლოდ ჩემი პიროვნული წარმატება მახარებს — განაცხადა შვეიცარიელმა — როდესაც ერთი გოლი გაგაქვს და სამს უშვებ, რეკორდი დიდ აზრს ველარ იძენს“.

იოჰან ვონლანტენი ჰოლანდიაში, კერძოდ „პსვ ეინდჰოვენში“ თამაშობს. მას ნაკრებში აქამდე ორი მატჩი ჰქონდა ჩატარებული და ვინ იცის, მესამე ევრო 2004-ზე არც მოსწეოდა, ალექსანდერ ფრეის ინგლისთან, წინა შეხვედრაში სტივენ ჯერარდისთვის რომ არ მიეფურთხებინა, ხოლო მწვრთნელს, კობი კუნს ბოლოწამს რომ არ ერჩია მისი მოედანზე გაყვანა ვეტერანი სტეფან შაპუიზას თამაშს.

შაპუიზას შვეიცარიის ეროვნული გუნდის მაისურით 103 თამაში აქვს ჩატარებული და შესაძლოა, მეტად აღარც ითამაშოს, ასე რომ, მისი ვოლნანტენით შეცვლა კუნს ვინ იცის, ფრიად სიმბოლურიც გამოუვიდა.

ბაჰუნა ძედია

მკვლელობა ლისაბონში

უკრაინელმა ინგლისელი ფანი დანით მოკლა

ევროპის ჩემპიონატი მკვლელობამ წამურდლა. ინგლის — ხორვატიის მატჩის შემდეგ, ლისაბონში უკრაინელმა ინგლისელი ფანი, სტეფენ სმიტი მოკლა.

ხორვატიის ძლევით გახარებულმა ბრიტანელებმა ლისაბონის ცენტრს მოსალხენად მიაშურეს. ზეიმი დილამდე გაგრძელდა, ტრაგედია კი დაახლოებით დილის ოთხ საათზე მოხდა, დანით დაჭრილი 27 წლის ახალგაზრდა „სან ჟოზეს“ საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ ველარ გადაარჩინეს.

ცხადია, პოლიციამ ივარაუდა, რომ ინგლისელი მავანმა ხორვატმა შელაპარაკებისას გამოასალმა სიცოცხლეს, თუმც მკვლელი უკრაინელი აღმოჩნდა.

გამომძიებლების თქმით, შეხლა ფეხბურთის გამო არ მომხდარა. 31 წლის უკრაინელ ვადიმ აბრამოვს სტეფენ სმიტის გაძარცვა დაუპირებია, მას ყაჩაღისთვის წინააღმდეგობა გაუწევია, მძარცველს კი დანა რამდენჯერმე დაურტყამს.

ცუდი რუდი და კარელ კარგი

ლატვიასთან უგოლო ფრე გერმანიისთვის, მსუბუქად რომ ვთქვათ, უსიამოვნო შედეგია, რადგან დაკარგული ქულები დაკარგულ ქულებად და არის თავმოყვარეობის საკითხიც. ცხადია, მყისვე გაჩნდა კითხვა, ვისი ბრალი იყო ის, რაც მოხდა. ბუნდესმწვრთნელმა, რუდი ფიოლერმა ამ კითხვაზე მისეული პასუხის მოსასმენად ხალხი არ ალოდინა, მაშინვე განაცხადა, ფეხბურთელები არაფერ შუაში არიანო და დასძინა, რომ გუნდს უბრალოდ იდეები შემოაკლდა.

„ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ და რამდენიმე საგოლე მომენტიც შევქმენით, რომელთაგან საუკეთესო თამაშის მიწურულს მიროსლავ კლოზეს ჰქონდა. ერთი სიტყვით, ფეხბურთელებს ვერაფერს ვუსაყვედურებ. არც ის მომხდარა, მეტოქის ვერშეფასებას რომ უწოდებენ, უბრალოდ მოწინააღმდეგემ დაცვაში ითამაშა ძალიან მჭიდროდ და ჩვენც სწორედ იქ, მათ საჯარიმოსთან შეგვექმნა ყველაზე დიდი პრობლემები. მოკლედ, რაც გვინდოდა, ის ვერ გავაკეთეთ, არადა, როდესაც ყველა შენს გამარჯვებას ელის, შენ კი ამას ვერ ახერხებ, იმედგაცრუებაც შესაბამისად დიდი გამოდის. პრინციპულად კი არაფერი დაგვიკარგავს, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ისევ გვაქვს. ის კი არა, დღეს რომც გაგვემარჯვა, მეოთხედფინალში მაინც არ ვიქნებოდით გასული. ჩეხებთან, ბოლო დღეს, ყველა ვარიანტში უნდა მოგვეგო, ასე რომ, დავიცადოთ და ვნახოთ რა მოხდება“ — განაცხადა ფიოლერმა.

„ლატვიის ამბავი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავივიწყოთ — დასძინა მწვრთნელის ნათქვამს გამოცდილმა მეკარემ ოლივერ კანმა — ჩივილი და დამნაშავის ძიება არაფერს შეგვძენს. ახლა მხოლოდ ჩეხებზე უნდა ვიფიქროთ, მათთან სათამაშოდ უნდა მოვემზადოთ განსაკუთრებით“.

მიხაელ ბალაკი: „დაკარგული არაფერია. იმთავითვე ვიცოდით, რომ ჩეხებთან ფინალივით თამაში მოგვიწევდა“. მართლაც, გერმანელებისთვის ჩეხებთან თამაში ფინალივითაა, ოღონდ უცნაური ფინალივით, რადგან ეს თამაში ჩეხთათვის არ ნიშნავს არაფერს. ისინი უკვე მეოთხედფინალში არიან, ვინაიდან მეორე ტურში ჰოლანდიასთან მოიგეს 3:2.

ჩეხთა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, პაველ ნედვედი გუნდის წარმატებების მთავარ შემოქმედად მწვრთნელს, კარელ ბრუკნერს ასახელებს:

„ის მოედანზე მეთორმეტე ფეხბურთელივით არის. ფეხბურთელები მოედანზე მხოლოდ მისი ინსტრუქციის შესასრულებლად გავდივართ. და თუ ბრუკნერი მეთორმეტე ფეხბურთელია, მაშინ გულშემატკივრიანად ცამეტნი ვყოფილვართ ყოველ შეხვედრაში“.

თავად ბრუკნერს კი ლატვიასთან და ჰოლანდიასთან თამაშზე ასეთი აზრი აქვს:

„ჰოლანდიის კარში გოლის გატანა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ლატვიის კარში. ჰოლანდიასთან მატჩი ხომ 7:7 შეიძლებოდა დამთავრებულიყო, რადგან ძალიან ღია ფეხბურთი გაჩაღდა. აი, ლატვიასთან თამაშზე რაც მეტს ვფიქრობ, მით მეტ დადებითს ვხედავ იმაში, რაც მოხდა. საერთოდაც, ორივე შეხვედრაში ჩემი მონაწილეობა დიდი იყო და მგონი, დამეთანხმებით, რომ ორივე ტურში ჩვენ კარგი სამწვრთნელო გადაწყვეტილებების გამო გავიმარჯვეთ. რაც შეეხება ჯგუფის ბოლო შეხვედრას, გადაწყვეტილი მაქვს ნედვედი დავასვენო. საერთოდაც, ბიჭებმა ორი ძალიან ძნელი შეხვედრა გამოიარეს, სათადარიგოთა სკამზე კი სხვა ბევრი ჩინებული მოთამაშე მიზის“.

ბაჰუნა ძედია



კარელ ბრუკნერის ჩეხეთმა რუდი ფიოლერს თავი აატკივა

eurofan2004@hotmail.com

სად ხართ, გერმანელებო?!

გავიდეთ, გავიდეეთ, გავიდეეეეეთ

ესღა მაკლდა — ვიღაც amitranc-ისგან წერილი მივიღე და ვირუსი არ აღმოჩნდა?! ატაჩმენტი, რა თქმა უნდა, არ გამიხსნია, მაგრამ მაინც არასასიამოვნოა, ვირუსი რომ მოგდის. სამაგიეროდ, სასაცილო ამბავი გამახსენდა. მეგობართან ვართ და ერთმა თქვა, ვირუსი შეეყარა ჩემს კომპიუტერსო, მასპინძლის დედა ძალიან შეწუხდა, ავად თუ იყავი, რატომ დაჯექი კომპიუტერთანო.

ახლა საქმე. ჩვენი რუბრიკის გეოგრაფია ფართოვდება და ბათუმის გავლით გერმანიას მიაღწია.

ბათუმელი LG79 იწერება: გაუმარჯოს ინგლისის ყველა გულშემატკივარს! ინგლისი ჩემპიონია და ტყუილად ნუ კამათობთ. განსხვავებული აზრის მქონეებს გულწრფელად ვურჩევ, შეწყვიტონ ჩემპიონატის ყურება, ნერვებს და ჯანმრთელობას გაუფრთხილდნენ. გუშინ მაგრად ვისიამოვნე, ერთი ეს პიჟონი ფრანგები და ქალოია იტალიელები (ვგულისხმობ წლევანდელ ნაკრებს) გავარდებოდნენ, ფეხბურთი ხომ კაცების თამაშია.

P.S. ბათუმელი ვარ, რაც „სარბიელი" არსებობს, გამოწერილი მაქვს და ძალიან მიყვარს, მასე გააგრძელეთ ბიჭებო!

რას ამბობ კაცო, თუ არ ვიკამათეთ, რა გამოვა. შენთან კი ერთი თხოვნა მაქვს, ქობულეთში თუ მოხვდები, სადგურიდან ორას მეტრში (ბათუმისკენ რომ მიდიხარ) ლიპიანი ინსპექტორი რომ დგას, სამი წლის წინ ათ ლარს რომ მართმევდა, „პავაროტნიკებზე" მარკირება რატომ არ გაქვსო, გადაეცი, ასლანი გამოგიგზავნის იმ ათ ლარსო.

ჰო, ბენზეში 30-ე კორპუსის ყველა მობინადრეც მომიკითხე.

გერმანიიდან კი ძალიან კარგი გოგო, TICO_VIERI გვწერს: მივესალმები ჩემი უუუუუუუუსაყვარლესი გაზეთის სარედაქციო ჯგუფს, მოუთმენლად ველი ყოველ ახალ ნომერს იმიტომ, რომ მართლა არაჩვეულებრივები ხართ. განსაკუთრებით თქვენეული იუმორი მომწონს. ისე გემრიელად იტყვით ხოლმე, რომ ხშირად ამეკვიატება სარბიელისეული ფრაზა. ევრო 2004-ის საფეხბურთო ბატალიებს რაც შეეხება, ცოტათი გული მეტკინა, ჰოლანდიის ნაკრები აუგად რომ იყო მოხსენიებული. ყველა ყველა და, თუკი გერმანიის უსახო ნაკრებს ეკუთვნის მეოთხედფინალში გასვლა, რატომ ჰოლანდიას არა? თუმცა გერმანელებს ჰოლანდიელებთან ცუდად არ უთამაშიათ. მოკლედ, დაველოდოთ მოვლენებს. მოკითხვა ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს. დიდი სიყვარულით თიკო გერმანიიდან.

P.S. არ ვიცი ახლა რომელ არხზე მიმდინარეობს მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები საქართველოში, მაგრამ მე კი სულ დიმიტრი ობოლაძის ხმა მიდგას ყურებში და აქაურ კომენტატორებს რომ ვადარებ, ვრწმუნდები — რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!!!

კარგები ვართ, კარგები! ოღონდ ეს ამიხსენი, ნიკ-ად ვიერი რომ გაქვს, გერმანიაში ცხოვრობ და ჰოლანდიას გულშემატკივრობ, ეგ როგორ არის?

ძმა, დედას გეფიცები, მე არ გაშაყირებ. მართლა თიკო წერს, დიმა მაგარიაო.

ჰო, ბოდიში უნდა მოვიხადო, გუშინდელ მიმოხილვაში ქეთი თიკოდ მოვიხსენიე. ქეთი პირობას გაძლევ, მეორედ შეცდომას აღარ დავუშვებ.

ქეთი, ისე შენთან წერილია, LESO2 გწერს. ხომ გახსოვს LESO2, რომ გაბრაზებს ბექემი პიჟონიაო.

LESO2: ბონჯორნო „სარბიელო", მინდა ქეთის გამოვეხმაურო. მე არ მითქვამს, რომ რეკლამა ცუდია და, რა თქმა უნდა, დავთანხმდებოდი მაღალანაზღაურებად ხელფასზე, მაგრამ რეკლამას რომ უკეთებ საქონელს (უხეშად რომ ვთქვათ), იგი მისი ღირებული უნდა იყოს, რასაც ვერ ვიტყვი მისტერ BECKHAM-ზე. საფირმო პასებიო, რომ ამბობ, რამდენი ხანია, რაც ბექემს ასეთი არ გაუკეთებია, თანაც თამაშის განმავლობაში მარტო ერთი-ორი პასის გაკეთება არაფრად ღირს. ადრე კიდე რალაცას თამაშობდა, ეხლა კი მაქსიმუმ საშუალო დონეზე ქაჩავს. მოკლედ, ბევრი ვიბოდიალე, არა?

P.S. ისე, მე რა მაბლატავებს, იტალია ჯგუფიდან თუ ვერ გავიდა, თავი არსად აღარ მექნება გამოსაყოფი. ჩაო. ფორცა იტალია, ფორცა იუვე.

ყველასთან ერთი თხოვნა მაქვს, ეგებ გაითვალისწინოთ, რომ წერილს რომ მოიწერთ, გაზეთში მეორე დღეს მოხვდება. ამიტომ ამდღევანდელ თამაშზე თუ გინდათ აზრის გამოთქმა, წინა დღეს, დილით მოიწერეთ.

გავაგრძელოთ. ეგებ ისიც გახსოვდეთ, რომ LESO2-მა ქეთის გარდა დანიის ჩემპიონობაზე $100 დამდები NATIA1111-იც გააბრაზა.

NATIA1111 LESO2-ს პასუხობს: გამარჯობა ბუარა! დიდი მადლობა მხარი რომ დამიჭირე. მე იმდენად ვქომაგობ დანიის ნაკრებს, რომ ფული არ დამნანებია. ნეტავი მეტი დამედო. LESO2, რატომ ხარ დარწმუნებული იტალიის არგაფარჩაკებაში? იტალიის გავარდნაზე ვაპირებ დადებას და [illegible]გებას ვაპირებ[illegible]

ნათია, გენაცვალე, კარგი გოგო ხარ. [illegible], რა მინდა [illegible], [illegible]ფასამდე ერთ ას ლარს ვერ მასესხებ? დანიის ჩემპიონობაზე მეც რომ შევაგდო.

აუ, ეს LESO2 კიდე ვინ ყოფილა, ყველას როგორ აბრაზებს. ოღონდ აქამდე მარტო გოგოებს თუ აბრაზებდა, ახლა GIORGI_-ც გააბრაზა.

GIORGI_: დღეს მაგარი დღე იქნება. დღეს იტალიის ნაკრები ბარგს ჩაალაგებს და აპენინებზე წავა. ლესო 2, წინასწარ ვიზიარებ შენს მწუხარებას, რას იზამ ჯერ თამაში უნდა ისწავლოთ იტალიის ნაკრებმა და ევროპის ჩემპიონატზე მერე ჩახვიდე. გერმანიის ბალეშჩიკები ხვალ დიდად ვისიამოვნებთ ჩეხებთან მოგებით. მეოთხედფინალშიც გავალთ, ნახევარფინალშიც და ევროპასაც მოვიგებთ. რაც შეეხება ლატვიასთან თამაშს, რა მოხდა ასეთი, გუნდმა ერთი თამაში ჩააგდო. ვის არ მოსვლია. ინგლისის ფანებს გულთბილი მოკითხვა. ერთმანეთს ნახევარფინალში შევხვდებით.

DEUTSCHLAND UBERALES!

მომდევნო წერილი KAKHAS-განაა და ასეთი სათაური აქვს: არ მელოდით? კი, ჩემო kakhas, გელოდი, როგორ არ გელოდი, იმ დღეს ჩემ ცოლს ვეუბნებოდი, ყველასგან მივიღე წერილები და kakhas რატომ არაფერს მწერს-თქო. ახლა ვნახოთ, ამდენი ხანი რომ გვალოდინე, ამისთანას რას წერ: გამარჯობა „სარბიელს"

თუმცა, რაღა გამარჯობა, ახლა „სარბიელი" მიდევს წინ და გული მისკდება, რომ გულშემატკივართა წერილებში გერმანელობა არ იგრძნობა. სადა ხართ, ხალხო! სად არიან მსოფლიოსა და ევროპის სამ-სამგზის ჩემპიონები? მერე რა, რომ ლატვიას ვერ მოვუგეთ, გერმანელობას გაჩუმება არ უყვარს. ახლა უნდა მოვიკრიფოთ ძალები, ჯგუფიდან გავიდეთ, გავიდეთ და გავიდეეეთ. დოიჩლანდ უბერ ალეს. მიანექი გერმანია. გავაჩუმოთ ეს იტალიელ-ფრანგ-ინგლისელ-პორტუგალიელები (უი, ლატვია გამომრჩა)!!!

გადით ძმაო, გადით, ვინ გაკავებთ? იტალია, ინგლისი, საფრანგეთი და პორტუგალია ჯერჯერობით არაფერს გერჩიან და ახლა ლატვიისთვის ყვირილის გარეშეც უნდა მოგეგოთ. არა, მე თუ გინდა დაგეხმარები, ქეთის და ნათიას ხათრით COME ON ENGLAND-ს და დანია ჩემპიონ-ს ვყვირი და დოიჩლანდს როგორ არ დავიძახებ.

აბა, ჰე, ხვალამდე. მოიწერეთ.

ვებმასტერი ბუარა

eurofan2004@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტი

აი, ქალი, იპოვეთ ხალი



ღმერთო, ჩემთვის არაფერს გთხოვ...

რა ქნას ხორვატმა, ოთხი გოლი ვერ აიტანა

იტალია – ბულგარეთის წინ ჯანლუიჯი ბუფონს კარგი მასწავლებელი ჰყავდა – ხრისტო სტოიჩკოვი

ელისაბედი ინგლისში დედოფალია, ევროპის ჩემპიონატზე კი დედოფალა

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		23 ივნისი						
5023		ჰოლანდია-ლატვია	1,5	2,9	7,0	1	1,23	2,05
5024		გერმანია-ჩეხეთი	2,3	2,05	4,4	1,08	1,51	1,39
		24 ივნისი						
5025		პორტუგალია-ინგლისი	3,1	2,05	3,1	1,23	1,55	1,23
		25 ივნისი						
5026		საფრანგეთი-საბერძნეთი	1,75	2,35	7,0	1	1,4	1,75

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		23 ივნისი						
23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	1,7	3,6	4,0	1,15	1,19	1,89
		24 ივნისი						
23.45	025	პორტუგალია-ინგლისი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		25 ივნისი						
23.45	026	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,45	3,5	8,0	1,02	1,22	2,43

© 2004 UEFA™

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. X ტური						
		23 ივნისი						
20.30	338	ინტერი-ალიანსი	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41
20.30	339	იარო-ჰაკა	3,6	3,3	1,8	1,72	1,19	1,16
		24 ივნისი						
20.00	340	კტპ-ლაჰტი	2,2	3,2	2,7	1,3	1,21	1,46
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. VII ტური						
		23 ივნისი						
00.15	342	აკურეირი-ფილკირი	3,0	3,1	2,15	1,52	1,25	1,26
00.15	343	კეფლავიკი-აკრანესი	2,3	3,1	2,7	1,32	1,24	1,44
00.15	344	ჰაფნარფიორდური-გრინდავიკი	1,75	3,2	3,8	1,13	1,19	1,73
00.15	345	ვიკინგური-ვესტმანაეიარი	3,5	3,1	1,9	1,64	1,23	1,17
		ირლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური						
		24 ივნისი						
23.45	352	დუბლინი-შემროკი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
		25 ივნისი						
23.45	353	სტ.პატრიკსი-შელბურნი	3,5	3,1	1,9	1,64	1,23	1,17
23.45	354	უოტერფორდი-დერი	1,55	3,4	5,3	1,06	1,19	2,07
		26 ივნისი						
23.30	355	ლონგფორდი-დროგედა	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
		ბრაზილია. სერია A. გადადებული მატჩი						
		24 ივნისი						
04.30	357	სან კაეტანო-ჟუვენტუდი	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
		ურუგვაი. პრიმერა. XIV ტური						
		23 ივნისი						
23.30	384	ბელა ვისტა-სერო	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
23.30	385	დანუბიო-რენტისტასი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
23.30	386	კოლონია-სერიტო	2,9	3,3	2,15	1,54	1,23	1,3
23.30	387	ფენიქსი-მალდონადო	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
23.30	388	ლივერპული-სენტრალი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
23.30	391	როხა-ტაჟუარემბო	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
23.30	392	უონდერერსი-დეფენსორი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩილე. აპერტურა						
		23 ივნისი						
23.45	405	უნ.ჩილე-კობრელოა	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
		აშშ. MLS. გადადებული მატჩი						
		23 ივნისი						
07.30	408	ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი	1,9	3,1	3,6	1,17	1,24	1,66
		შვედეთი. თასი. III ეტაპი						
		23 ივნისი						
22.00	424	ჰამარბი-ლანდსკრონა	1,6	3,6	4,6	1,1	1,18	2,01
		შვედეთი. თასი. 1/8 ფინალი						
		23 ივნისი						
21.00	425	იოსტერსი-იორგრიტე	3,5	3,4	1,8	1,72	1,18	1,17
21.30	426	ასირისკა-ბრომაპიოკარნა	1,85	3,4	3,4	1,19	1,19	1,7
21.30	427	ფრისკა-გიოტებორგი	9,0	5,0	1,2	3,21	1,05	1
		ნორვეგია. თასი. 1/8 ფინალი						
		23 ივნისი						
21.00	428	ჰაუგესუნდი-რუსენბორგი	7,5	5,0	1,25	3	1,07	1
21.00	429	კონგსვინგერი-სანდეფიორდი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
21.00	430	მანდალი-ჰამარი	3,1	3,6	1,9	1,66	1,17	1,24
21.00	431	სტაბეკი-მოსი	1,45	4,0	5,6	1,06	1,15	2,33
21.00	432	ტრომსიო-ლილესტრიომი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67
		24 ივნისი						
21.00	433	ბოდიო გლიმტი-ბრანი	2,4	3,3	2,45	1,38	1,21	1,4
21.00	434	ვარდ ჰაუგესუნდი-ლინი	5,6	4,0	1,45	2,33	1,15	1,06
		ბრაზილია. თასი. ფინალი. I მატჩი						
		23 ივნისი						
05.45	437	სტ.ანდრე-ფლამენგო	3,2	3,2	2,0	1,6	1,23	1,23
		ლიბერტადორესის თასი						
		23 ივნისი						
05.00	459	ბოკა ხუნიორსი-ონსე კალდასი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

		23 ივნისი	
5423	ჰოლანდია-ლატვია	1,2	4,0
5424	გერმანია-ჩეხეთი	1,65	2,3
		24 ივნისი	
5425	პორტუგალია-ინგლისი	1,9	1,9
		25 ივნისი	
5426	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,35	3,2

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
			23 ივნისი							
5123	ჰოლანდია-ლატვია	1,5	18,0	45,0	3,6	6,0	17,0	25,0	17,0	17,0
5124	გერმანია-ჩეხეთი	2,5	10,0	20,0	3,6	5,0	7,0	20,0	10,0	6,0
			24 ივნისი							
5125	პორტუგალია-ინგლისი	4,0	10,0	20,0	5,0	4,4	5,0	20,0	10,0	4,0
			25 ივნისი							
5126	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,9	15,0	40,0	3,6	5,3	14,0	25,0	14,0	14,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	23 ივნისი			
5523	ჰოლანდია-ლატვია	3,0	2,8	2,0
5524	გერმანია-ჩეხეთი	3,0	2,8	2,0
	24 ივნისი			
025	პორტუგალია-ინგლისი	3,0	2,8	2,0
	25 ივნისი			
026	საფრანგეთი-საბერძნეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	23 ივნისი		
5323	ჰოლანდია-ლატვია	1,8	1,8
5324	გერმანია-ჩეხეთი	1,55	2,0
	24 ივნისი		
5325	პორტუგალია-ინგლისი	1,6	2,0
	25 ივნისი		
5326	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		23 ივნისი	
5223	ჰოლანდია-ლატვია	1,95	1.65
5224	გერმანია-ჩეხეთი	1,8	1.8
		24 ივნისი	
5225	პორტუგალია-ინგლისი	1,65	1.95
		25 ივნისი	
5226	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,7	1.9

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ჩემპიონთა ლიგა

25 ივნისს ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა გაიმართება. საქართველო ამ ტურნირებზე სამი გუნდითაა წარდგენილი: ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“, თასის მფლობელი „დინამო“ და „თბილისი“; ვისაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ უეფას თასიდან მოკვეთილი ბოლნისის „სიონის“ ადგილი ერგო.

საწილისყროდ ქართული კლუბები განთესილებში მოხვდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ რეიტინგით ჩვენზე უარესი კლუბები ჯერაც არსებობენ. თუმც „ვიტ ჯორჯიას“ ნამდვილად ვერ ვუსურვებთ „ტირანას“ დაჯახებას, რომელმაც შარშან „დინამო“ დააკოშმარა. დინამოელებს კი ბორისოვოს ბატეს სწორედაც რომ ვუსურვებთ, რადგან 2001 წელს ბელარუსში 0:4 ჯერაც კარგად გვახსოვს და რევანშით გულის მოფხანა კარგი იქნებოდა. ევროთასებზე ახალბედა „თბილისისთვის“ კი კარგი დებიუტი მიგველოცოს.

I საკვალიფიკაციო ეტაპი

განთესილნი: *სკონტო (ლატვია), ჰიკ (ფინეთი), ნოვა გორიცა (სლოვენია), შერიფი (მოლდოვა), შიროკი ბრიაგი (ბოსნია), ვიტ ჯორჯია (საქართველო), ჰობედა (მაკედონია), კაუნასი (ლიტვა), გომელი (ბელარუსი), რეიკიავიკი (ისლანდია)*

განუთესავნი: *სლიმა (მალტა), შელბურნი (ირლანდია), პიუნიკი (სომხეთი), რილი (უელსი), ტირანა (ალბანეთი), ფლორა (ესტონეთი), ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია), ჟენესი (ლუქსემბურგი), ნეფთჩი (აზერბაიჯანი), ტორსჰავნი (ფარერები)*

I მატჩები 14 ივლისს გაიმართება, საპასუხოები — 21 ივლისს

უეფას თასი

I საკვალიფიკაციო ეტაპი

განთესილნი: *ილიჩევეცი (უკრაინა), მარიბორი (სლოვენია), ეტერი (შვედეთი), ჰონვედი (უნგრეთი), ოცელული (რუმინეთი), დუკლა (ჩეხეთი), ჟელეზნიჩარი (ბოსნია), ბოჰემიანსი (ირლანდია), პრიმორიე (სლოვენია), ომონია (კვიპროსი), ჰაკა (ფინეთი), ნისტრუ (მოლდოვა), ტირასპოლი (მოლდოვა), ბირკირკარა (მალტა), ვენტსპილსი (ლატვია), მეტალურგსი (ლატვია), ალიანსი (ფინეთი), მოდრიცა (ბოსნია), დინამო (საქართველო), თბილისი (საქართველო), სლოგა (მაკედონია), სილეკსი (მაკედონია), ჟალგირისი (ლიტვა), ეკრანასი (ლიტვა), შახტიორი (ბელარუსი)*

განუთესავნი: *ბატე (ბელარუსი), აკრანესი (ისლანდია), ჰაფნარფიორდური (ისლანდია), მარსაშლოკი (მალტა), ლონგფორდი (ირლანდია), შირაქი (სომხეთი), ბანანცი (სომხეთი), მიკა (სომხეთი), ლანსანტფრეიდი (უელსი), ფორდვესტი (უელსი), ვადუცი (ლიხტენშტაინი), დინამო (ალბანეთი), პარტიზანი (ალბანეთი), ლევადია (ესტონეთი), ტვმკ (ესტონეთი), გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია), პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია), ეტცელა (ლუქსემბურგი), დუდელანჟი (ლუქსემბურგი), შამქირი (აზერბაიჯანი), ყარაბახ-აზერსუნი (აზერბაიჯანი), ბ-36 ტორსჰავნი (ფარერები), ბ-68 ტოფტირი (ფარერები), პენაროსა (სან მარინო), სანტა კოლომა (ანდორა)*

I მატჩები 15 ივლისს გაიმართება, საპასუხოები — 29 ივლისს

2004-05

ჯგუფური ეტაპი	III საკვალ. ეტაპი	II საკვალ. ეტაპი	I საკვალ. ეტაპი
ვალენსია, ბარსელონა	დეპორტივო, რეალი		
მილანი, რომა	იუვენტუსი, ინტერი		
არსენალი, ჩელსი	მანჩესტერი, ლივერპული		
ვერდერი, ბაიერნი	ლევერკუზენი		
ლიონი, პსჟ	მონაკო		
პანათინაიკოსი, ოლიმპიაკოსი	პაოკ		
პორტუ	ბენფიკა		
აიაქსი	პსვ ეინდჰოვენი		
სელტიკი	რეინჯერსი		
ფენერბაჰჩე		ტრაბზონსფორი	
	ანდერლეხტი	ბრიუგე	
	ბანიკი	სპარტა	
	ბაზელი	იანგ ბოისი	
	დინამო	შახტარი	
	მ. ჰაიფა	მ. თელ ავივი	
	გრაცერი		
		ვისლა	
		ცსკა	
		ცრვენა ზვეზდა	
		რუსენბორგი	
		ლოკომოტივი	
		ჰაიდუკი	
		იურგორდენი	
		კოპენჰაგენი	
		ჟილინა	
		დინამო	
		ფერენცვაროში	
		აპოელი	
			ნოვა გორიცა
			ჰიკ
			სკონტო
			შერიფი
			ვიტ ჯორჯია
			შიროკი ბრიაგი
			კაუნასი
			რეიკიავიკი
			ჰობედა
			გომელი
			შელბურნი
			სლიმა
			პიუნიკი
			რილი
			ტირანა
			ფლორა
			ლინფილდი
			ჟენესი
			ტორსჰავნი
			ნეფთჩი

4	ესპანეთი	3
4	იტალია	3
4	ინგლისი	3
3	გერმანია	3
3	საფრანგეთი	3
3	საბერძნეთი	3
2	პორტუგალია	4
2	ჰოლანდია	4
2	შოტლანდია	2
2	თურქეთი	2
2	ბელგია	2
2	ჩეხეთი	2
2	შვეიცარია	2
2	უკრაინა	3
2	ისრაელი	2
1	ავსტრია	3
1	პოლონეთი	3
1	რუსეთი	3
1	სერბეთი	3
1	ნორვეგია	3
1	ბულგარეთი	3
1	ხორვატია	2
1	შვედეთი	3
1	დანია	2
1	სლოვაკეთი	2
1	რუმინეთი	2
1	უნგრეთი	2
1	კვიპროსი	2
1	სლოვენია	2
1	ფინეთი	2
1	ლატვია	2
1	მოლდოვა	2
1	საქართველო	2
1	ბოსნია	2
1	ლიტვა	2
1	ისლანდია	2
1	მაკედონია	2
1	ბელარუსი	2
1	ირლანდია	2
1	მალტა	2
1	სომხეთი	3
1	უელსი	2
-	ლიხტენშტაინი	1
1	ალბანეთი	2
1	ესტონეთი	2
1	ჩრდ. ირლანდია	2
1	ლუქსემბურგი	2
1	ფარერები	2
1	აზერბაიჯანი	2
-	ანდორა	1
-	სან მარინო	1

პირველი ეტაპი	II საკვალიფიკაციო ეტაპი	I საკვალიფიკაციო ეტაპი
სარაგოსა, სევილია, ბილბაო		
ლაციო, პარმა, უდინეზე		
ნიუკასლი, მიდლსბრო, მილუოლი		
შტუტგარტი, ბოხუმი, ალემანია		
ოსერი, სოშო, შატორუ		
აეკ, ეგალეო, პანიონიოსი		
სპორტინგი, ნასიონალი, ბრაგა, მარიტიმუ		
უტრეხტი, ფეიენოორდი, ჰერენვენი, აზ-67		
ჰართსი	დანფერმლაინი	
ბეშიქთაში	გენჩლერბირლიგი	
სტანდარდი	ბევერენი	
	სიგმა, სლავია	
	ვილი, სერვეტი	
	დნიპრო, მ. დონეცკი	ილიჩევეცი (ფეირ პლეი)
	ბნეი საჰნინი, მ. ფეთაჰ-თიკვა	
	ჰაშინგი, რაპიდი, აუსტრია	
	ლეხი, ლეგია, ამიკა	
	ტერეკი, ზენიტი, რუბინი	
	პარტიზანი, ჟელეზნიკი, ბუდუჩნოსტი	
	ბოდიო გლიმტი, სტაბეკი, გრენლანდი	
	ლიტექსი, ლევსკი, ცსკა	
	დინამო, რიეკა	
	ელფსბორგი, ჰამარბი	ესტერი (ფეირ პლეი)
	ბრონდბიუ, ოლბორგი	
	პეტრჟალკა	დუკლა
	სტიაუა	ოცელული
	უიპეშტი	ჰონვედი
	აეკ	ომონია
ინტერტოტოს თასის 3 გამარჯვებული		მარიბორი, პრიმორიე
		ჰაკა, ალიანსი
		ვენტსპილსი, მეტალურგსი
		ნისტრუ, ტირასპოლი
		დინამო (თბ), თბილისი
		მოდრიცა, ჟელეზნიჩარი
		ჟალგირისი, ეკრანასი
		აკრანესი, ჰაფნარფიორდური
		სლოგა, სილეკსი
		შახტიორი, ბატე
		ლონგფორდი, ბოჰემიანსი
		ბირკირკარა, მარსაშლოკი
		ბანანცი, შირაქი, მიკა (ფეირ პლეი)
		ლანსანტფრეიდი, ფორდვესტი
		ვადუცი
		პარტიზანი, დინამო
		ლევადია, ტვმკ
		გლენტორანი, პორტდაუნი
		დუდელანჟი, ეტცელა
		ბ-36 ტორსჰავნი, ბ-68 ტოფტირი
		შამქირი, ყარაბახ-აზერსუნი
		სანტა კოლომა
		პენაროსა

თბილისის „დინამო“ კიდევ ერთმა ლიდერმა და გამორჩეულმა ფეხბურთელმა დატოვა. გიორგი ანჩაბაძე ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონს მშვიდად, ურთიერთშეთანხმებით დაშორდა. სამწუხაროა, რომ ჩვენს ჩემპიონატს საკუთარი ხელწერის მქონე ფეხბურთელი მოაკლდა. „დინამოს“ გასულ სეზონში ერთი კომბინაცია ჰქონდა დამუშავებული — ანჩაბაძე მოედნის საკუთარი ნახევრიდან გრძელი პასით ან იაშვილზე აგრძელებდა თამაშს ან კვირკველიაზე. დინამოელებს ამ პასით მეტოქის ნახევარი გუნდი ზურგს უკან ჰყავდათ მოტოვებული...

გუშინ გიორგი რედაქციაში გვესტუმრა და განვლილ სეზონზე, „დინამოდან“ წასვლასა და ევრო 2004-ზეც ვილაპარაკეთ...



გიორგი ანჩაბაძე ლილიანა ბერიძის ფოტო

ანჩაბაძე: ჩემი გუნდიდან პარალიმნიში

— შენს ხანგრძლივ საფეხბურთო კარიერაში კიდევ ერთი სეზონი დასრულდა. როგორ შეაფასებდი მას?

— „დინამო“ ისეთი გუნდია, რომ სულ უმაღლესი მიზნებისთვის უნდა იბრძოდეს. ბუნებრივია, ჩვენც ღუბლის გაკეთება გვსურდა, მაგრამ არ გამოვიდა და, ცხადია, უკმაყოფილების გრძნობა მაქვს. თუმცა, ზოგი ჭირის პრინციპით, განვლილმა ჩემპიონატმა ყველას დაანახა, რომ უბრძოლველად ვერც საქართველოში მიაღწევ ვერაფერს.

— ერთი ხანობა კლუბებს ხშირად იცვლიდი და საკუთარი თავის ძიებაშიც იყავი. „დინამოში“ მობრუნებული კი ისევ ჩვეულად ათამაშდი...

— „დინამო“ ჩემი გუნდია და ყოველთვის ასეთად დარჩება. მისი მაისურა პირველად 18 წლისამ მოვირგე. მაშინ მივხვდი, რომ ბავშვობის ოცნება ავიხდინე. საკმაო ხანი ვითამაშე და... თუმცა, როდესაც ვბრუნდებოდი, ვგრძნობდი, რომ აბსოლუტურად შინაურულ ვითარებაში, სახლში ვბრუნდებოდი. ამ ფაქტორმაც დიდი როლი ითამაშა.

— „დინამოში“ დაბრუნებულს სრულიად სხვა ვითარება დაგხვდა: უცხოელი მწვრთნელი და წელგამართული კლუბი...

— „დინამოში“ რომ დავბრუნდი, კლუბს მართლაც დიდი გეგმები ჰქონდა. მაღალი დონის უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანაც ამაზე მეტყველებდა. შუშაკიც ხარისხიანად გვავარჯიშებდა და გუნდმა საკუთარი თამაში იპოვა.

— შუშაკმა პირველსავე ვარჯიშზე მაესტრო გიწოდა. საქართველოშიც უნიჭიერეს ფეხბურთელად გთვლიდნენ, მაინც რა მოხდა ისეთი, რამაც გიორგი ანჩაბაძეს მეტის გაკეთების საშუალება არ მისცა?

— სადაც უნდა ვიყო, ყველა ამას მეკითხება. ეტყობა, მართლა გული სწყდებათ, რომ დიდი ფეხბურთი ვერ ვითამაშე. ამაში კი უპირველესი დამნაშავე თავად ვარ. სადღაც დავაკელი, იმდენი არ ვიმუშავე, მეგონა, რომ მხოლოდ ნიჭის ხარჯზე ვითამაშებდი. ღმერთი ნიჭს რომ მოგცემს და არ გამოიყენებ, დაისჯები. თუნდაც ახლა, მე საქართველოში კი არა, უფრო მაღალ დონეზე უნდა მეთამაშა, იყო ამის ყველანაირი შესაძლებლობები, მაგრამ, ეტყობა, ღვთისაგან ბოძებულის დაუფასებლობისთვის ვისჯებოდი.

— გასულ სეზონში ეროვნულ ჩემპიონატში ვისი თამაში მოგეწონა?

— ჟურნალისტების არჩევანს ვეთანხმები. კვირკველია მართლაც გამორჩეოდა. მთლიანობაში კი „ვიტ ჯორჯიამ“ გამაკვირვა. ეს გუნდი დიდი ხანია, ჩემპიონობისთვის იბრძვის, მაგრამ გასულ სეზონში აბსოლუტურად განსხვავებული ფეხბურთი ითამაშა. მარტო ჩვენთან 3:1 მოგებული თამაში რად ღირს. „ვიტ ჯორჯიამ“ იმ შეხვედრაში თავისი აქტიურობით გაგვაკვირვა. „თბილისიც“ ძალიან სიმპათიურ გუნდად ჩამოყალიბდა, სრულიად ახალგაზრდული შემადგენლობით სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. ცალკეული მოთამაშეებიდან კი სანდრო იაშვილს გამოვარჩევდი. მას ყველა მონაცემი აქვს, დიდი ფეხბურთის სათამაშოდ.

— „დინამოდან“ შენი წასვლა ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩანს. კლუბს ლიდერები აკლია, თანაც უეფას თასზეც ითამაშებდი...

— მესმის, რომ „დინამოდან“ თავისი ნებით, როგორც წესი, არ მიდიან, მაგრამ ჩემ შემთხვევაში ნაღდად ასე მოხდა. კლუბთან კონტრაქტი მარტამდე კი მქონდა, მაგრამ სეზონი დეკემბერში სრულდება და მარტამდე, ფაქტობრივად, არაფერს ვაკეთებთ. ესე იგი, კონტრაქტიც დეკემბრამდე გამოდის. ამ დროს გამოჩნდა უცხოური კლუბის ვარიანტი. სიმართლე გითხრა, მეც ძალიან მინდოდა ჩემპიონატის და საერთოდ საფეხბურთო ატმოსფეროს შეცვლა. თანაც ბავშვიც აღარ ვარ, საქართველოში 34-35 წლის ასაკში თამაში უხერხულია. არადა, კარიერის დასრულება ჯერ არ მინდა. ან რატომ უნდა დავასრულო? ძალაც მერჩის და თამაშიც შემიძლია. მოკლედ, სიახლე მინდოდა.

— სიახლე კვიპროსიდან წამოვიდა. რომელ კლუბში ითამაშებ?

— „პარალიმნიში“. ამ გუნდში ლევან ქებაძე თამაშობს. 10 ივლისისთვის კვიპროსზე უნდა ჩავიდე და ყველაფერში ადგილზევე გავერკვევი. თუმცა ლევანისგან უკვე ვიცი, რომ უცხოელთა ლიმიტი შვიდამდე გაუზრდიათ, რათა რაც შეიძლება მეტი ლეგიონერი მიიზიდონ და ჩემპიონატიც საინტერესო გახადონ. პირობებზე შეთანხმების შემდეგ კი კვიპროსზე ოჯახთან ერთად გავემგზავრები.

— 10 ივლისამდე საკმაო დროა. მერე ოჯახის წაყვანაზე უნდა იფიქრო, ფორმის შენარჩუნებას როგორღა მოახერხებ?

— ასაკს გამოცდილებაც მოაქვს. ისე მოვემზადები, რომ იქ ჩასვლისას ჯანზე ვიყო და კლუბთან ერთად შეკრებისას არ გადავიწვა. ფორმის დაკარგვა არ მემუქრება.

— „დინამო“ არაერთმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, თან ისეთებმაც, რომელთაც მოედანზე უსიტყვოდ უგებდი. სამაგიეროდ, აბსოლუტურად გამოუცდელი და ახალგაზრდა ფეხბურთელები მივიღეს. მათთან თამაშის პერსპექტივა, როგორც ჩანს, ნაკლებად გხიბლავდა...

— ვიგრძენი, რომ „დინამოში“ ჩემი შესაძლებლობები ამოიწურე. გუნდში გეზი ახალგაზრდების გაზრდაზე აიღეს. მე ჩემს უცხოეთის შანსს ჩავეჭიდე და... მოკლედ, ყველა კმაყოფილი დავრჩით.

— ვიცი, იტალიის ქომაგი ხარ. ევრო 2004-ზე იმედები ხომ არ გაგიცრუვდა?

— რა ხანია, იტალიელებს ეგულშემატკივრობ და სულ იმედებს მიცრუებენ, შინაურულად რომ ვთქვათ, მარიაჟობენ. არადა, მათგან ყოველთვის რაღაც ახალს ველი ხოლმე.

— თავად ჩემპიონატზე და მის ფავორიტებზე რას იტყვი?

— ძალიან კარგი ჩემპიონატია. რა ხანია, ასეთი დაძაბული და თანაბარი თამაშები არ ყოფილა. იაპონია-კორეაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი მასთან ახლოსაც ვერ მოვა. რაც შეეხება ფავორიტებს, ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასულ ყველა ნაკრებს, საბერძნეთის გარდა, საჩემპიონო შანსები აქვს, ყოველ შემთხვევაში, თამაშები ასეთი აჩვენეს.

დავით ერაძე

პატარა გორი მართლა დიდია...

გიორგი ბალაშვილი მარეკზე ფიქრობს, პენალტზე არა

კარგი შედეგი წამოიყოლა ბულგარეთიდან ევროპაში პირველად მოთამაშე გორის „დილამ“. საერთაშორისო სარბიელზე ქართული გუნდებისგან წარუმატებლობას ნაჩვევთათვის „მარეკ“ — „დილას“ დუპნიცური 0:0 ვერ ვიტყვით, ნამეტანი გასახარიაო, თუმც სასიამოვნო მოულოდნელობა კი იყო. გულზე ხელი დავიდოთ და, გორელთაგან სტუმრად ფრეს ბევრი ვერ გამოიცნობდა

„მარეკთან“ „დილას“ საქმეები კი ისე აეწყო, ფრე ფრედ და, ჩვენებს თურმე მოგებაც შეეძლოთ გორელთა კაპიტანს *გიორგი ბალაშვილს* თამაშის ბოლოსკენ პენალტი რომ გაეტანა... არ ითქმის, ვერგამოყენებული პენალტი ცუდის ნიშანიაო, მაგრამ უსიამოვნოდ რომ გვაგონდება, ნაღდია: სამი წლის წინ „ლოკომოტივი“, სადაც მაშინ გიორგი ბალაშვილიც თამაშობდა, მალტის უსახელო „ბირკირკარასთან“ ლაშა სალუქვაძის გაცუდებული პენალტის მერე დამარცხდა.

— მახსოვს, როგორ არა, „ბირკირკარას“ უეფას თასზე შევხვდით — გვითხრა გიორგი ბალაშვილმა — მალტაში 0:0 ვითამაშეთ და საპასუხო მატჩის წინ თავი ქუდში გვეგონა. თბილისშიც 0:0 იყო, როცა პენალტი ვერ გავიტანეთ, მერე კი წავაგეთ. ეს ჩემთვის ძალიან უსიამოვნო მოსაგონარია.

— „მარეკთან“ 0:0-ზე შენც გაგიცუდდა პენალტი. ცუდი წინათგრძნობა ხომ არ გაქვს?

— რატომ უნდა მქონდეს ცუდი წინათგრძნობა?! ეს, უბრალოდ, ცუდი დამთხვევაა და მეტი არაფერი. ვერგატანილ პენალტზე აღარც ვფიქრობ, ახლა ჩემი და მთლიანად „დილას“ საფიქრალი მხოლოდ „მარეკია“.

— პირველი მატჩის მერე ძალები რომ რეალურად შეაფასო, შეგიძლიათ „მარეკის“ დამარცხება?

— შეგვიძლია. ვფიქრობ, რომ „დილა“ „მარეკზე“ უკეთესი გუნდია. ყოველ შემთხვევაში, ბულგარეთში ჩვენ უფრო ვითამაშეთ. თბილისის მატჩისთვის კი კიდევ უკეთ მოვემზადებით.

— „დილაში“ ყველაზე გამოცდილმა ბულგარეთში თამაშისას გუნდში რაიმე განსაკუთრებული თუ შენიშნე?

— განსაკუთრებული მონდომება იყო. „მარეკთან“ მატჩი „დილასთვის“ ევროსარბიელზე სადებიუტო იყო. ვიცოდით, რომ ჩვენ უკან მთელი გორი იდგა. ერთგული ქომაგის გაწბილების უფლება არ გვქონდა და მით უმეტეს, არც ახლა გვაქვს.

— გამოდის, „მარეკი“ უკვე დამარცხებული გყავთ...

— ამის ძალიან დიდი სურვილი გვაქვს. მთელი გორი ფეხზე დგას და თბილისში წამოსასვლელად ემზადება. გპირდებით, ჩვენ კარგად, ლამაზად ვითამაშებთ.

— „მარეკის“ დამარცხებისთვის „დილას“ რაიმე განსაკუთრებული დაინტერესება თუ აქვს?

— ყველაფერი იქნება. რეგიონისა და ქალაქის ხელმძღვანელობა ბულგარელთა დასამარცხებლად ყველანაირ პირობას გვიქმნის, დანარჩენი ჩვენი გასაკეთებელია. პრემიებიც იქნება და მეტიც...

— რას გულისხმობ?

— ქალაქის მერი, რომელიც დუპნიცაშიც გვახლდა, დაგვპირდა, მთელ გორს თბილისში წამოვიყვანო. გორელ ქომაგს კი, დამეთანხმებით, დიდი ძალა აქვს.

— ისევ იმ გაცუდებულ პენალტს მივუბრუნდეთ...

— რაღაა სათქმელი, მეკარემ მაჯობა. ვიდრე დავარტყამდი, მსაჯმა ბურთისკენ გაქანებული ორჯერ გამაჩერა. ერთხელ მცველი დარტყმამდე დაიძრა და გაფრთხილებაც მიიღო, მეორედ კი მეკარემ დატოვა კარის ხაზი დროზე ადრე. მესამედ, როგორც იქნა, დავარტყი, მაგრამ... ფსიქოლოგიური მომენტი იყო.

— კი, მაგრამ, ბალაშვილს ცივსისხლიანს რომ იცნობენ?

— რა ვქნა, პენალტის დარტყმისას უპირატესობა უკვე მეკარისკენ იყო.

კოგა ინასარიძე



გიორგი ბალაშვილი ფოტო

მცხეთაა თუ ზესტაფონი?

მეტალურგი თბილისში გადმოგუნდდა

საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალიგელი ზესტაფონის „მეტალურგი“, რომელსაც სააქციო საზოგადოება „ფერომ“ მოჰკიდა ხელი, თბილისშია და ვიდრე გაირკვეოდეს, ახალ სეზონში რომელ ლიგაში ითამაშებს, „ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე ვარჯიშობს.

დღეს ზესტაფონელები „ლოკომოტივი 2“-თან ამხანაგურ მატჩს ითამაშებენ, იქამდე კი გეტყვით, რომ „მეტალურგის“ მოლდოველი თავკაცი ვლადიმირ ზემლიანოვი გუნდის დაკომპლექტებას იმ ფეხბურთელებით აპირებს, რომლებიც წინა სეზონში „მცხეთა-ურიონში“ თამაშობდნენ.

„მეტალურგს“ შერჩენილ რამდენიმე ჭაბუკ ფეხბურთელთან ერთად დღესდღეობით ზემლიანოვის ხელმძღვანელობით ეს ყოფილი მცხეთელები ვარჯიშობენ: ცინაძე, ოდიკაძე, ქუთათელაძე, ჩაჩუა, ჯაფარიძე, შუკაკიძე, ნოზაძე, კაკაურიძე, მელიქია, ჩიღვინაძე და პარამონოვი. „მეტალურგში“ იყო ასევე „ამერიდან“ წასული მეკარე დავით ასლანაძე, თუმც ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო მან გუნდი დატოვა.

ლუკა თალაკვაძე

28 წლის გოგა გახოკიძემ ახლახან კონტრაქტი გააფორმა რუსული პრემიერლიგის გუნდ სამარის „კრილია სოვეტოვთან“. რუსეთის ჩემპიონატში ახლა შესვენებაა და ის 3 ივლისს განახლდება. პირველი წრის შემდეგ კი „კრილია“ მეხუთე ადგილზეა. გახოკიძეს რუსეთში ადრეც უთამაშია, როცა 1997-99 წლებში ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გამოდიოდა და ჩემპიონატის 43 მატჩში 8 გოლი გაიტანა. შემდეგ გახოკიძე ჰოლანდიურ „ეინდჰოვენში“ გადავიდა, ხოლო წინა სეზონი „ტვენტეში“ ითამაშა

გახოკიძეს არ ეშინია

არც გადაღლის, არც ჯარიაჯასი

გახოკიძე სჭირდება ეროვნულ ნაკრებსაც და როგორ ითამაშებს გოგა რუსეთში, ეს ალენ ჟირესისთვისაც საყურადღებო უნდა იყოს. ნაკრებში გახოკიძეს 17-ჯერ უთამაშია და 2 გოლი შეუგდია. მცირე ინტერვიუ კი მასთან „კრილია სოვეტოვის“ ვებ-საიტზე გამოქვეყნდა.

— „კრილიას“ გარდა სხვაგან გადასვლის ვარიანტებიც გქონდათ?

— რა თქმა უნდა, მოსკოვის „დინამოსთან“ და რამდენიმე დასავლეთევროპულ კლუბთან ვაწარმოებდი მოლაპარაკებას, მაგრამ „კრილიას“ წინადადება ყველაზე კონკრეტული და საინტერესო აღმოჩნდა.

— სანამ სამარაში ჩამოხვიდოდით, „კრილიას“ შესახებ რა ინფორმაცია გქონდათ?

— ჰოლანდიაში თამაშისას თვალყურს ვადევნებდი რუსეთის ჩემპიონატს და „კრილიაზეც“ გარკვეული წარმოდგენა მქონდა. ვიცოდი, რომ ამ გუნდში რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი თამაშობდა, მათ შორის ჩემი ძველი მეგობარი ომარ თეთრაძე. ახლა კი სამარაზე და მის გუნდზე გაცილებით მეტი ვიცი — რუსეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი და კეთილგანწყობილი გულშემატკივართა არმია სამარას ჰყავს და კიდევ ის, რომ ყველაზე კარგი საფეხბურთო ვებ-გვერდი „კრილიასია“.

— ახალ გუნდზე პირველი შთაბეჭდილება როგორია?

— საუკეთესო. მომეწონა გუნდი და ისიც, თუ როგორ ვარჯიშობს და თამაშობს „კრილია“.

— ჰოლანდიური სეზონის შემდეგ კარგად დასვენება ვერ მოასწარით და ახლა წელიწადნახევარი ფაქტობრივად დასვენების გარეშე მოგიწევთ თამაში — ეს არ გაშინებთ?

— სიმართლე გითხრათ, ეს მართლაც არ იქნება იოლი. თანაც რუსეთის ჩემპიონატში ბოლო დროს მკვეთრი წინსვლაა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გავუძლებ.

— მართალია, რომ „კრილიას“ ხელმძღვანელობა თქვენში ანდრეი კარიაკას შემცვლელს ხედავს?

— ამის შესახებ პირველად მესმის. გუნდში არ გამიგია, ვინმეს კარიაკას წასვლაზე რამე ეთქვას. ვფიქრობ, მწვრთნელები ჩემთვისაც და კარიაკასთვისაც გამონახავენ ადგილს მოედანზე. თუმც არც იმას გამოვრიცხავ, რომ მე და კარიაკამ ძირითადში მოხვედრისთვის ერთმანეთს კონკურენცია გავუწიოთ, მაგრამ ეს არ მაშინებს. თუ გუნდი მაღალ მიზნებს ისახავს, იქ კონკურენციაც შესაბამისი უნდა იყოს.



გოგა გახოკიძეს აწი ფეხებში რუსები ჩაუხტებიან

ამერი და დავითნიძე:

არის კონტაქტი და კონტრაქტზე კონტრაქტი

გიორგი დავითნიძისთვის მეკარეთა შეწუხება ჩვეული ამბავია

ბაჩანა ჯუღელიანის ფოტო

თბილისის „ამერის“ კაპიტანს გიორგი დავითნიძეს კლუბთან კონტრაქტი ორი წლის შემდეგ უმთავრდებოდა, ახლა კი 2009 წელს დაუმთავრდება. გიორგი დავითნიძემ საკუთარი სურვილით მიიღო გადაწყვეტილება კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე, რითაც „ამერთან“ თავისი დამოკიდებულება გამოხატა. დავითნიძის სურვილის საწინააღმდეგო არც კლუბს ჰქონია რამე და კაპიტნის სამსახური ხუთი წლით გაიხანგრძლივა...

— შეიძლება, ზოგს მართლაც უცნაურად მოეჩვენოს, რომ „ამერთან“ ახალი კონტრაქტი ძველის გასრულებამდე კარგა ხნით ადრე გავაფორმე, თუმც მე სხვაგვარად ვფიქრობ — „ამერში“ ბედნიერი ვარ და ამიტომაც მსურს ამ გუნდში დავრჩე — გვითხრა გიორგი დავითნიძემ — „ამერში“ დავინახე ის სითბო, ყურადღება და პერსპექტივა, რაც სხვაგან არ იყო და ვერ ვგრძნობდი. კლუბის პრეზიდენტიც, ბევრი რომ არაფერი ვთქვათ, გუნდზეა გადაყოლილი.

— სითბო, ყურადღება და პერსპექტივა. კონტრაქტის გასაგრძელებლად ეს იკმარე?

— და ის, რომ „ამერი“ სუფთა გუნდია, არ არის გარეული არავითარ სიბინძურეში. ალალ ფეხბურთს თამაშობს, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მე მსიამოვნებს.

— კონტრაქტით „ამერში“ ორი წელიც უნდა გეთამაშა და შენ ამას კიდევ სამი დაუმატე. კარიერა ამ გუნდში უნდა დაამთავრო?

— არა, რატომ?! ხუთი წლის მერე 30 წლის ვიქნები და არც ისაა გამორიცხული, „ამერი“ კონტრაქტის გასრულებამდე დავტოვო, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რომელიმე უცხოური გუნდი მიმიწვევს. „ამერიდან“ ქართულ გუნდებში წამსვლელი კი არ ვარ. ეს გუნდი თავისი პირობებით მხოლოდ „დინამოს“ თუ ჩამორჩება. „ამერში“ ფეხბურთის გარდა არაფერზე გვაქვს საფიქრალი. თანაც უმაღლეს ლიგაში რომ გადავალთ, ჩვენი საქმეები უკეთ აეწყობა.

— ასე დარწმუნებული რატომ ხარ, რომ „ამერი“ გაისად უმაღლესში ითამაშებს?

— სირცხვილია, რომ „ამერის“ დარი გუნდი უმაღლეს ლიგაში არ თამაშობდეს. წინა სეზონთან შედარებით ახალ ჩემპიონატში უფრო ძლიერები ვიქნებით. რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელი შევიმატეთ, მწვრთნელი საქმის მცოდნე გვყავს და მეტად გამოცდილებიც ვართ.

— შარშან ამ დროსაც ასე არ ამბობდი?

— კი, ვამბობდი, მაგრამ რა ვქნათ, ვერ შევძელით უმაღლესში გადასვლა. გამოუცდელები ვიყავით, შეცდომებიც გვქონდა. სადღაც იღბალმაც გაგვწირა.

— „ამერის“ ერთ-ერთი ბომბარდირი მცველი დავითნიძე რომ არის, ამის თაობაზე რას იტყვი?

— რა ვთქვა, ცოტა კი მეუცნაურება ეს ამბავი, მაგრამ... ისე, რამდენიც გავიტანე, ორი იმდენის გატანაც შემეძლო. საამისოდ კარგი მომენტები მქონდა.

— შენი ნაკლი რა არის?

— უფრო სწრაფი და უფრო ტექნიკური რომ ვიყო, კარგი იქნებოდა.

— ისე, მცველს ტექნიკა მაინც-დამაინც არ მოეთხოვება.

— გეთანხმები, მაგრამ მაინც, მეტი ტექნიკა ხელს არ შემიშლიდა.

— პლუსად რას თვლი?

— ფიზიკური მომზადება არ დამეწუნება. ვფიქრობ, თავითაც კარგად ვთამაშობ.

— ფეხბურთელ დავითნიძის ოცნება რა არის?

— „ამერთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაში.

— მერედა, ამ ხუთ წელიწადში შეძლებ ოცნების ასრულებას?

— რატომაც არა?! თუკი რუსული და უკრაინული გუნდები თამაშობენ ლიგაში, „ამერმა“ რატომ ვერ უნდა ითამაშოს?! ვფიქრობ, სამოთხ წელიწადში ჩვენც შევძლებთ ჩვენი სიტყვის თქმას. მოკლედ, ლიგაა ჩემი ოცნება, ლიგა და საქართველოს ნაკრები.

ძოგა ინასარიძე

სილაგაძე კვლავ დინამოელია

გუშინ თბილისის „დინამო“ გერმანიაში ჩაფრინდა და შტუტგარტთან ახლოს, რუიტის სპორტულ ბაზაზე დაბინავდა. გერმანიაში გამგზავრების წინა დღეს „დინამოს“ თავკაცმა გია გეგუჩაძემ პრესას 26 ფეხბურთელის სია გააცნო და თქვა, რომ მათ დამდეგი სეზონისთვის არავინ დაემატება. გეგუჩაძემ ისიც დასძინა, რომ „დინამო“ ლევან სილაგაძეს საბოლოოდ დაშორდა, მას კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა.

საქმე კი ასეა — გუშინ სილაგაძე „დინამოს“ გაჰყვა გერმანიაში, რადგან ბოლო მომენტში კლუბმა და ფეხბურთელმა, როგორც იქნა, პირობებზე მოილაპარაკეს.

დავით ერაძე

გიგიაძე ილუმჟინოვს ელის

ერთი წელია, ქართველი ფორვარდი ვასილ გიგიაძე ელისტის „ურალანშია“, თუმც შესაძლოა, მალე მან გუნდი დატოვოს, რადგან ხელმძღვანელობა ფინანსური კრიზისის გამო ფეხბურთელებისთვის მიცემულ პირობებს ვეღარ ასრულებს. ვასო მცირე ხნით ქუთაისში ჩამოვიდა და მასთან გასაუბრების საშუალება მოგვეცა...

— ვასო, რა ხდება „ურალანში“?

— ხუთი თვეა, ხელფასებს ვერ არიგებენ. ყალმუხეთის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი შეგვხვდა და დაგვაიმედა, დავალიანებას მალე გაგისტუმრებთო.

— რუსულ გაზეთებში დაიწერა, რომ შენ კლუბის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანე ფედერაციაში...

— რამდენიმე ფეხბურთელმა მართლაც დაწერა საჩივარი და გუნდიდან გაშვება ითხოვა. მე მათ შორის არ ვიყავი. ეს ცნობა „სპორტ-ექსპრესმა“ გაავრცელა.

— შენი ქუთაისში ჩამოსვლის მიზეზი...

— თამაშებს შორის მცირე შუალედით ვისარგებლე. თანაც გუნდში წვრთნის პროცესი ფაქტობრივად ჩაშლილია და მეც აქედან პირდაპირ თამაშზე უნდა ჩავიდე.

— პირველი ლიგის გუნდში თამაში, თანაც ასეთ პირობებში, შენს კარიერას არ წაადგება. რას აპირებ?

— დაახლოებით ორ კვირაში პირველი წრე მთავრდება. თუ დავალიანება ვერ გამისტუმრეს, საბუთებს მომცემენ და თავისუფალი აგენტის სტატუსით გამიშვებენ. თუ ფინანსები გამოჩნდა, მაშინ იძულებული ვიქნები, კონტრაქტის დასრულებამდე ანუ დეკემბრამდე ელისტაში ვითამაშო.

— თუ „ურალანი“ დატოვე, სად გააგრძელებ კარიერას?

— კონკრეტულს ჯერ ვერაფერს გეტყვი. ისე, არ დაგიმალავ, რომ უკრაინისა და რუსეთის რამდენიმე კლუბის წარმომადგენლებთან მაქვს კონტაქტი, სადაც უკეთეს პირობებს შემომთავაზებენ, იქ წავალ.

— შენი ყოფილი კლუბი „ტავრია“ ხომ არ შეგეხმიანა?

— პირადად არ დამკავშირებიან, მაგრამ, როგორც მენეჯერმა მითხრა, ისინიც დაინტერესებულნი არიან.

— ქუთაისში ხმები დადის, თითქოს „ტორპედოში“ ბრუნდები...

— „ტორპედო“ ჩემი საყვარელი გუნდია, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოში თამაში ჩემს გეგმებში არ შედის.

— შენი ტყუპისცალი სოსო რასა იქს?



— სოსო უკრაინის პირველი ლიგის ხარკოვის „არსენალში“ ირიცხებოდა, თუმცა ტრავმამ თამაშის საშუალება არ მისცა. ახლა ფეხი აღარ აწუხებს და ალბათ ისევ უკრაინაში გაგრძელებს კარიერას.

გია ამირანაშვილი

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი

ღრუბელი, შენ გვიშველე!

აკეთე ის, რაც გიყვარს და გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ



REUTERS ლონდონიდან

მარტინა ნავრატილოვა 31 წლის წინ დაიწყო და აღარ მთავრდება

პირველი ნრე

კაცები

ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) 6:2, 6:4, 3:6, 6:2; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **ალექს ბოგდანოვიჩი** (ბრიტანეთი) 6:3, 6:3, 6:0; **ხუან კარლოს ფერერო** (6, ესპანეთი) — **ჟულიენ ბუტე** (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:4), 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (7, ავსტრალია) — **იურგენ მელცერი** (ავსტრია) 6:2, 6:4, 6:2; **სებასტიანი გროჯანი** (10, საფრანგეთი) — **ტიერი ასიონი** (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 6:4; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — **პარადორნ შრიჩაფანი** (13, ტაილანდი) 3:6, 6:4, 6:4, 6:4; **იონას ბიორკმანი** (17, შვედეთი) — **რაემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) 5:7, 6:1, 7:5, 6:1; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — **ნიკოლას კიფერი** (29, გერმანია) 4:6, 4:6, 6:4, 6:3, 6:0; **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) — **მიხაილ იუჟნი** (31, რუსეთი) 6:3, 7:6 (7:4), 6:2

ქალები

მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — **კატალინა კასტანიო** (კოლუმბია) 6:0, 6:1; **ანასტასია მისკინა** (2, რუსეთი) — **ლუბომირა კურჭაიცოვა** (სლოვაკეთი) 7:5, 6:1; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — **მარი-გაიანე მიქაელიანი** (შვეიცარია) 6:3, 6:0; **ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — **დალი რანდრიანტეფი** (მადაგასკარი) 6:2, 6:1; **ანი სუგიამა** (11, იაპონია) — **ამანდა ჯეინსი** (ბრიტანეთი) 3:6, 6:2, 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (12, რუსეთი) — **სამანტა სტოზერი** (ავსტრალია) 6:4, 6:4; **მარია შარაპოვა** (13, რუსეთი) — **იულია ბეიგელზიმერი** (უკრაინა) 6:2, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვაკეთი) — **ანა სმაშნოვა-პისტოლეზი** (16, ისრაელი) 6:4, 6:3; **მაგდალენა მალეევა** (21, ბულგარეთი) — **ვერა დუშევინა** (რუსეთი) 6:1, 7:5; **ხისელა დულკო** (არგენტინა) — **ელენა დოკიჩი** (23, სერბია და ჩერნიგორია) 6:3, 6:3; **ალიშა მოლიკი** (27, ავსტრალია) — **მელინდა ჩინკი** (უნგრეთი) 6:1, 6:4; **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) — **ემილი ლუა** (28, საფრანგეთი) 6:1, 6:2; **ემი ფრეზერი** (31, აშშ) — **მარია კირილენკო** (რუსეთი) 6:1, 6:4



REUTERS ლონდონიდან

ლეიტონ ჰიუიტი

წვიმა რომ ბარაქიან ჩოგბურთთან და მარწყვიან ნაყინთან ერთად უიმბლდონის მარადი თანმხლებია, ეს ვინ არ იცის. მაგრამ წლეულს თუ პირველსავე დღეს მოასხამდა და ორგანიზატორებს განრიგს, ხოლო ცხორ-მეცხორეს ნერვებს აგვიშლიდა, ეგ კი არ გვეგონა.

ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ წვიმა ერთი ორჯერ რა მეყსეულადაც ჩამოიქცა, ისე მეყსეულადვე შეწყდა. მოკლედ — მაგრად გააიმასქნა.

თუმცა მაშინ, როცა ბრიტანელთა ჭაბუკმა იმედმა ალექს ბოგდანოვიჩმა როჯერ ფედერერთან უკანასკნელი მოწოდებისას ხმამაღლა ინატრა, იქნებ ახლაც წამოვიდოდესო, ბრიტანელ ელიას მის საშველად არც ყური შეუბერტყავს და არც ღრუბელი.

ლეიტონ ჰიუიტმა კი ავსტრიელ იურგენ მელცერთან მოგების შემდეგ მისთვის დასმულ კითხვაზე, დღეს ყველაზე მეტად რა გეამათო, ასე უპასუხა: „ის, რომ კორტიდან მანამ გამოვასწარი, სანამ წვიმა წამოასხამდა.“

და რამდენიც უნდა იძახონ მასპინძლებმა, ვერაფერს იზამთ, ასეთია ჩვენი ბრიტანული ამინდიო, ორგანიზატორები სტიქიის ჭირვეულობისთვის ანგარიშის გაწევას აღარ აპირებენ და გვპირდებიან, რომ 2009 წლისთვის ცენტრალურ კორტზე მაინც მოძრავი სახურავი დამონტაჟდება.

უიმბლდონი დიდია, შიგ მარტინა ჰყიდია

ტურნირზე, რომელიც მას ჯამში ცხრაჯერ დაუწიოკებია, 47 წლის მარტინა ნავრატილოვას მარტოქალად პირველად 1973 წელს, ხოლო ბოლოჯერ 1994 წლის ფინალში ეთამაშა. თუკი ჩოგბურთის ტრფიალი ბრძანდებით, ეგებ თქვენც გახსოვდეთ, ამ ათი წლისწინანდელი ფინალის შემდეგ დიადმა ლესბოსელმა უიმბლდონურ კოინდარს სამახსოვროდ ერთი ბღუჯა ბალახი რომ შეაგლიჯა — აქაოდა, მორჩა, ახლა კი წავედიო.

თუმცა გამჩენი არ ასვენებს, თუ ბუნების მიერ გამორჩეული სიუხვით მომადლებული ილაჯი, მისი უდედათმავლესობა მაინც არ ისვენებს და შარშან რომ (ჰინდუ ლეანდერ პაესთან ერთად შერეულ წყვილებში) თავისი მეოცე საუიმბლდონო ტიტული მიითვალა, წლეულს ისევ საერთეულო კორტზე გამოჩნდა.

24 წლის კოლუმბიელი კატალინა კასტანიოს წინააღმდეგ მან იმ დღეს კვლავაც ნორჩი ჯეირანივით იკუნტრუშა, უსახელო მეტოქე თავისი აგრესიული, მოაწოდე-მიეძალე ყაიდის წყალობით მოაშთო და მატჩი საოცრად მალე 46 წუთში მოამთავრა.

ნამატჩევს კი ის ‘სიხარულს ვერ მალავდა, ავტოგრაფებს არიგებდა და მილეთს ესიყვარულებოდა.

„ასაკი არაფერ შუაშია — ამბობდა ის — მთავარია, აკეთო ის, რაც გიყვარს და გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ.“

პარალელურად კი ის იმავ პაესთან ერთად შერეულ წყვილთა შორის შარშან ნაშოვნი ტიტულის დაცვასაც ეცდება.

ჩემპიონთა გარჯა

მარტინა ნავრატილოვას გარდა ტურნირის პირველ დღეს წარმატებით იჩოგნავეს უიმბლდონის შარშანდელმა ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა და დანარჩენმა ოდინდელმა პირველოსნებმაც.

22 წლის შვეიცარიელმა უთუოდ და უთუმცაოდ აჯობა მასზე ორი წლით უმცროსსა და რეიტინგსიის ამბავში 294 ადგილით უმდაბლეს ალექს ბოგდანოვიჩს. ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა მთელი მატჩის განმავლობაში კაცურად აწოდა, თავის პირველ მოწოდებათა 86 პროცენტი მოიგო და მეტოქეს ისე გასცდა, საიდუმლო იარაღის კი არა, სადაგი არსენალის ბოლომდე გამოყენებაც არ დასჭირვებია.

„ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ყველაფერი კარგად რომ დამეწყო — ამბობდა მერე — უმალვე დავინახე, რომ ჩემს მოწოდებაზე ვერაფერს ახერხებდა და ეს ბოლომდე გამოვიყენე.“

ავსტრიელი იურგენ მელცერის გარდა წინა უიმბლდონობიდან გამოყოლილ დემონებთან მოუხდა ბრძოლა შარშანწინდელ ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტს, ვინაც შარშანდელი ტურნირის პირველსავე წრეში კორტის დონიდან 208 სანტიმეტრის ამთვლელმა ხორვატმა ივო კარლოვიჩმა ჩაჩოგნა.

მართალია, მელცერს კარლოვიჩისთვის წლეულს, მაიამური ტურნირის პირველ წრეში უჯობნია, მაგრამ ჰიუიტი მას დადარაჯებული და სათანადოდ შეჭურვილი დაუხვდა. მატჩმა ყოფილი პირველოსნის სრული უპირატესობით ჩაიარა და ნამატჩევს ჰიუიტმა დაუფარავადაც იკმაყოფილა, დღეს მართლაც რიგიანად ვითამაშეო.

გაილაღა ტურნირის ჰიუიტამდელმა ჩემპიონმა და სამგზის ფინალისტმა გორან ივანიშევიჩმაც, რომელსაც ნათქვამი აქვს, რომ ნაამუიმბლდონევს ჩოგანს დედაბოძზე ჩამოკიდებს. ამჟამად რეიტინგსიის ოდენ 415-ადგილოსანმა ვეტერანმა ხორვატმა ძალზედ დამაჯერებლად იბურთავა და განთესილ რუს იუჟნის სეტისწაუგებლად მოუგო. შეგახსენებთ, რომ ივანიშევიჩს თავის საზეო კორტზე სწორედ იქ გამარჯვების შემდეგ აღარ ეპაექრა — ტიტულის დაცვა, ხოლო მერე მორიგის ძიებაც მას გაუთავებელმა ტრავმება არ დაანებეს.

რაც შეეხება ქალთა განყოფილებას, იქ იმ დღეს ჩემპიონთაგან ვინუს უილიამსმა და ლინდსი დევენპორტმა ითამაშეს. ანგარიშებიდანაც დაატყობდით — არცოუ ძაბუნად. ერთმაც და მეორემაც თავ-თავის მეტოქეს მხოლოდ სამ-სამი გეიმი დაანება.

მოულოდნელობა

პირველი დღის უმთავრეს მოულოდნელობად იქცა წინა უქმეებზე ნოტინგემის მომგები პარადორნ შრიჩაფანის ოტება. ეს-ესაა ბასრ საბალახო ფორმაში შესულ ტაილანდელს ვინ მოერია და ისევ ის ზემოთხსენებული ივო კარლოვიჩი, რომელსაც — როგორც ჩანს — უიმბლდონზე საპირველვეწრეო „სენსატორობა“ დაუპრივატებია.

25 წლის ზორბა ხორვატი საამმოენტოდ მსოფლიო რეიტინგსიის 203-ე ადგილზე დგას, რაც 62-ით მაღლაა იმაზე, შარშან რომ ეკავა. პარადორნი კი შარშან პირველი აზიელი კაცი გახდა, ზეათეულამდე რომ აღზევა რომ შეძლო, მაგრამ მის საწინააღმდეგოდ ის გარემოება მეტყველებს, რომ უკვე მეცხრამეტე სლემტურნირზე გამოდის და მეოთხე წრის გაღმა ერთხელაც ვერ გაუბედავს.

მატჩი მისი მიძალებით დაიწყო და აგრესიამ ნაყოფიც მოუტანა, მაგრამ მერე და მერე შემზარავად მოგლაჯჯუნე ხორვატმა მატჩის სადავეები გადაიპყრო და ბოლო გათამაშებამდე აღარ მობოშებულა.

ლაბაძე ჰიუიტზე გავიდა

პირველი და უცხო შემხვედრის ბელგი კრისტოფ ვლიგენის ორ დღეში დაჩოგნვის შემდეგ ირაკლი ლაბაძე ამქრის ყოფილ პირველოსან ლეიტონ ჰიუიტზე გავიდა. იმ ვლიგენს კი ჩვენებური ორი დღე ეჩოგნავა, სწორედაც რომ ორი, რაკი გუშინწინ დაწყებულ და ლაბაძის მიერ 6:2, 6:4 წაყვანილ ამათ თამაშს ლონდონის წვიმიანმა ზეცამ თალხი გადააფარა და მეჩოგნენი დასაძინებლად გაიხმო.

გუშინ კი ლაბაძემ პირველი, ანუ მესამე სეტი კი დაუთმო მეტოქეს, მაგრამ მერე უპირატესობა უკუჩოგანიპყრო და მეორე წრესაც უწია.

ლევან კელაურაძე



REUTERS ლონდონიდან

გორან ივანიშევიჩი ჯერჯერობით ყოჩაღადაა

უიმბლდონი



თუ წელმა გამიძლო...
ირაკლი ლაბაძე ჰიუიტზე იწევს

ირაკლი ლაბაძემ უიმბლდონის პირველობა ორდღიანი შეხვედრით დაიწყო, ბელგიელ კრისტოფ ვლიგენს იოლად გასცდა და მარშანდელ ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტს გადაეყარა. თუ ისევ ამინდმა არ დაალალატა, ჩვენებური დღეს უნდა ეთამაშოს მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს. მძიმე შეხვედრის წინ ლაბაძე ოდნავადაც არ ნერვიულობს. ერთადერთი პრობლემა წელის ტკივილია, რომელსაც კვლავ შეუხსენებია თავი. გუშინდელი გამარჯვების შემდეგაც სამასაჟო ოთახიდან გვესაუბრა

— გუშინდელთან შედარებით დღეს ცოტა გამიჭირდა. ვერ ვიტყვი, რომ ორი მოგებული სეტის შემდეგ, ზედმეტად თავდაჯერებული გავედი კორტზე. უბრალოდ, მან უკეთ დაიწყო თამაში.

— **საბოლოოდ მაინც საკმაოდ იოლად დაამარცხე. რის ხარჯზე?**

— მეოთხე სეტში პირველივე მოწოდება ავუღე და გატყდა. ვლიგენი ისეთ ჩოგბურთელებში გადის, თავისი მოწოდების წაგებისას ნერვიულობას რომ იწყებენ. მეც ამით ვისარგებლე.

— **მეორე წრეში უიმბლდონის შარშანწინდელ ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტს ხვდები. ერთმანეთში აქამდე არასოდეს გითამაშიათ. შეიძლება მოგება?**

— რატომაც არა. მართალია, ჰიუიტი მშვენიერ ფორმაშია, მაგრამ რაღაც უპირატესობა მეც მაქვს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ თავისუფლად, ყოველგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვის გარეშე ვითამაშებ. მე დასაკარგი არაფერი მაქვს, მას კი ძალიან ბევრი.

— **თიხნარების მერე ბალახზე როგორ გადაერთე?**

— ამ მხრივ პრობლემა არასოდეს მქონია. საკმაოდ ნორმალურ ფორმაში ვარ და თუ წელმაც გამიძლო, იქნებ შედეგიანადაც ვითამაშო.

— **წელი მაინც ვერ მოირჩინე?**

— ისე ძალიან არ მტკივა, როგორც ადრე, თუმცა თავს მაინც მახსენებს. ტკივილგამაყუჩებლებს ვსვამ. თან მასაჟებსაც ვიკეთებ. წესით, უიმბლდონის სრული დატვირთვით ჩატარება არ უნდა გამიჭირდეს, შემდეგ კი ავსტრიაში წავალ სამკურნალოდ.

— **საქართველოს ნაკრებში დევისის თასზე თამაშშიც ხომ არ შეგეშლება ხელი?**

— საქართველოში 8-10 ივლისს აუცილებლად ჩამოვალ და ეგვიპტესთანაც ვითამაშებ.

— **ისევ უიმბლდონს მივუბრუნდეთ. ვის თვლი მთავარ ფავორიტად?**

— ალბათ ფედერერს. ჩემი აზრით, ახლა ისაა საუკეთესო.

— **შენს მეგობარ საფინს რაღა დაემართა?**

— ალალად წავაგეო, მითხრა. თამაში არ წაუვიდა.

— **ჰიუიტს დღეს ხვდები?**

— ჰო, მაგრამ ამბობენ, წვიმა იქნებაო, ვნახოთ.

ოთარ მაღლაკელიძე

უგრეხელიძე ლუდის მხდელი გახდა
პივოვარნამ ქართველი უსაპარაკოდ გააფორმა



საქართველოს ნაკრების კანდიდატი დავით უგრეხელიძე ისე დაშორდა სლოვენიურ „კრკას", რომ ამ გუნდში ერთი ოფიციალური მატჩიც არ უთამაშია. „უგრე" შორს არ წასულა, სლოვენიაშივე დარჩა, მეზობელ ლაშკოში გადავიდა და სლოვენიის ჩემპიონატის ფინალში ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიასთან" დამარცხებულ „პივოვარნასთან" გააფორმა კონტრაქტი.

„უგრეხელიძეს სლოვენიაში ყველა იცნობს, უკვე მეხუთე წელია, ჩვენს ქვეყანაში თამაშობს და მისთვის ახალი გუნდის მონახვაც არ გამჭირვებია — გვითხრა უგრეხელიძის მენეჯერმა ჟელკო ვერგოგმა, გუშინ სლოვენიაში რომ დავუკავშირდით — ლაშკოელებს დავითი არ უწვალებიათ, ერთი-ორი ვარჯიში და უმალვე 1+1-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს."

უგრეხელიძე ლუდის ხდით განთქმულ ლაშკოს ყურის ძირში მდებარე დაბა სელეში ცხოვრობს, ვარჯიშებზე კი კლუბისგან ნაბომები მანქანით დადის.

უგრეხელიძეს თბილისშიც ელიან, 25 ივნისს საქართველოს ნაკრები დიღმის ბაზაზე იკრიბება. ძნელი სათქმელია, რა ფორმაშია უგრეხელიძე, მას ხომ პრაქტიკულად ორი წელია, არ უთამაშია.

შეგახსენებთ, რომ უგრეხელიძე შარშანწინ „სლოვანიდან" წამოვიდა და კონტრაქტის ძიებაში უშედეგოდ შემოიარა საბერძნეთი და იტალია. წლევანდელი ევროლიგის ფინალისტ „სიენასთან" კონტრაქტიც თითქოს დაბევებული ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ იტალიელებმა მისი აყვანისგან თავი შეიკავეს.

უგრეხელიძემ ამ გაზაფხულზე სლოვენიურ „კრკასთან" სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ ჯერ ავადმყოფა, მერე კი ფორმა ვერაფრით აღიდგინა და ნოვო მესტო უთამაშებელმა დატოვა. ახლა იგი, იმედია, ლაშკოში მაინც გაშლის ფრთებს.

ირაკლი ბერტაია

მსოფლიოს ჩემპიონატი ვაჟებში

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

მეორე ტური. პირველი მატჩები

ლიბიურმა სიცხემ შორტი დაამოკლა

მეორე ტურის 32 შეხვედრიდან ყველაზე ხმაურიანი ინგლისელი დიდოსტატის ნაიჯელ შორტისა და პოლონელი მიხეილ კრასენკოვის პარტია გამოდგა. დაპირისპირება 122 სვლა გაგრძელდა და, ყველასგან მოულოდნელად, შავი ფიგურებით მოთამაშე სლავის გამარჯვებით დასრულდა. მატჩის ბოლოს ალბიონელმა მარცხი შეუჩვეველ ლიბიურ კლიმატს გადააბრალა.

მოულოდნელი იყო ასევე ჩვენი დიდოსტატის ზურაბ აზმაიფარაშვილის მარცხი რუს ალექსანდრ ლასტინთან.

ქართველმა ჩრდილოელმეზობელთან დებიუტი ნაკლებცნობილი ჟ3-ით არჩია. აღსანიშნავია, რომ პირველ ტურში აზმაიფარაშვილმა ირანელ მართეზა მაჰჯუბთანაც სწორედ ეს დაწყება გამოიყენა, თუმც წინასგან განსხვავებით ახლა გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავდა და ყველაფერი მისი გეგმით აღარ წასულა.

დასაწყისში თამაში საკმაოდ ჩაკეტილი გამოდგა, მეტოქეები მხოლოდ საკუთარ ტერიტორიაზე მანევრირებდნენ და მეტოქეთა ფლანგებისკენ არც იხედებოდნენ. ასეთი დაშინებები მე-19 სვლამდე გაგრძელდა, შემდეგ კი მხარეები მოქმედებებზე გადავიდნენ და ფიგურების აყვანას შეუდგნენ. ხოცვა-ჟლეტაში ინიციატივა რუსმა იგდო ხელთ, ეტლით დაწინაურდა და მე-40 სვლაზე კიდეც გაიმარჯვა.

ლაშა ზიზიშვილი

არაფერი მახსოვს
რალფ შუმახერი გონზე მოვიდა, ფეხზე ვერა

კვირას ინდიანაპოლისში აშშ-ს დიდი პრიზის გათამაშებისას ტრასაზე რალფ შუმახერი 320 კმ/სთ სიჩქარით შეასკდა კედელს და კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა. დამხმარეები 10 წუთის განმავლობაში დამსხვრეული „უილიამსის" კოკპიტშივე ასულიერებდნენ ბეწვზე გადარჩენილ მრბოლს და მერე გააქანეს ჰოსპიტალში.

მიუხედავად იმისა, რომ რალფი უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან და ზალცბურგში ცოტა მომჯობინებული გაუშვეს, პილოტმა დიდი შოკი გადაიტანა და ჯერაც ზურგისა და თავის ტკივილები აწუხებს.

„არაფერი მახსოვს, ბუნდოვნად თითქოს სტარტის მომენტი მახსენდება, მას შემდეგ კი ყველაფერი ბურუსშია — ყვება გვარიანად შეშინებული რალფი — ჰოსპიტალში ჩანაწერი ვნახე, მაგრამ ვერაფერს ვიხსენებ, უძლობა და ზურგის ტკივილი მაწუხებს. არ ვიცი, ტრასას როდის დავუბრუნდები, ახლა ამაზე არ ვფიქრობ. მინდა, სახლში ვიყო, ცოლ-შვილთან, ახლა დასვენება მჭირდება."

ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი, ავსტრიელი ნიკი ლაუდა, რომელიც 1976 წელს სიკვდილს გადაურჩა, ამბობს, რომ რალფი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაუბრუნდეს ტრასას. „თავდაპირველად კუნთებში იგრძნობს ტკივილს, მაგრამ ეგ არაფერია, ჩემ დროს პილოტები ყოველ წელიწადს იხოცებოდნენ, ახლა კი ტრასებიც და ბოლიდებიც გაცილებით უსაფრთხოა" — მამასავით ამშვიდებს ფორმულა 1-ს ცოცხალი ლეგენდა რალფსაც და ალბათ ყველა სხვა მოქმედ მრბოლს.

ფულს ავსტრალიაზე ჩადით
ვუდვორდი საკუთარ ორიანს გვირჩევს

მგონი, მსოფლიოს ჩემპიონებს მართლა გაუჭირდათ. აბა, რა უნდა იფიქრო, როცა ინგლისის ნაკრების თავკაცი კლაივ ვუდვორდი გვირჩევს, ინგლისი—ავსტრალიის თამაშზე ფსონს ავსტრალიელებზე ჩადითო.

„ავსტრალიას ალარასოდეს ექნება ასეთი კარგი შანსი, დაამარცხოს ინგლისის ნაკრები" — ღიად აცხადებს ვუდვორდი და, თუ სიმართლე გნებავთ, ცამდე მართალია.

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიას ინგლისისთვის 1999 წლის შემდეგ არ მოუგია, ახლა „ვოლაბებს" მართლაც კარგი შანსი აქვთ, რადგან ევროპელებს რთული დროება დაუდგათ.

ჯონი უილკინსონისა და რამდენიმე წამყვანი მორაგბის ტრავმების გამო მსოფლიოს ჩემპიონთა საქმე სულ უკან-უკან მიდის. ჯერ 6 ერის თასზე მესამე ადგილის დასჯერდნენ, სულ ახლახან კი ახალზელანდიელებმა 2-მატჩიან ტესტ-დუელში 17:72 გაანადგურეს და მსოფლიო რეიტინგში პირველი ადგილიდან ჩამოაქვეითეს.

შაბათს ინგლისელები ავსტრალიელებს სტუმრობენ და ახლაც დააკლდებათ ხალხი. ახალ ზელანდიაში დაიმტვრნენ მსოფლიოს თასზე ნათამაშები ტრევორ ვუდმენი, მაიკ ტინდალი და რიჩარდ ჰილი. ახალწვეულ მეტ სტივენსს მუხლი აქვს დაზიანებული. ასევე ახალი სტიუარტ ებოტიც ტრავმის გამო სახლის გზას დაადგა, ხოლო დენი გრიუკოკის ბედი კი ჯერ უცნობია, ექიმებს დიაგნოზი არ დაუსვამთ.

ერთადერთი შვება მთელი ამ დანაკარგების ფონზე ისაა, რომ ნაკრებს ინგლისის „ა" გუნდის წევრები, მაიკ უორსლი და უილ გრინი შეუერთნენ.

ლადო ფულუკიძე

ირლანდია

პრემიერდივიზიონი

XVIII ტური

კორკ სიტი 0:1 ბოჰემიანსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძის ფოტორეპორტაჟი

ქართულ-აფრიკული შერკინების პირველი ხაზი:
ვესელ რუ, ოთარ კუთარაშვილი და ნიკო ჭავჭავაძე



ბლუზი ბლუ ბულზისთვის

პრეტორიის „ბლუ ბულზმა“ თორმეტდღიანი თბილისური არდადეგები სანაპიროზე, რესტორან „არაგვში“ ქეიფით დაასრულა. გემრიელად მობურთავე „ხარებმა“ გემრიელადაც მოულხინეს. ხოლო ჭიქების ტრიალი რომ ოვალური ბურთისაზე ნაკლებად არ ემარჯვებათ, იმ თორმეტ დღეში არაერთხელ დაამტკიცეს. არაგვული მოლხენა მაინც გამორჩეული იყო...

წინ ვარჯიში და თამაში აღარ გველისო და აფრიკელები მთლიანად სმაში დაიხარჯნენ. სუვენირებად მიღებული ყანწებიც „მონათლეს“ და ქართული ცეკვა-თამაში მშობლიურითაც შეაჯერეს. ახმახმა ვან დერ მერვემ კი ხელთ ელექტროგიტარა მოიგდო და ისეთი ბლუზი შეუბერა, რომ გვქონოდა, შაბაშებს ჩავუკუჭავდით და თუკი შეცბუნდებოდა, ყველაფერს ქართულ ტრადიციებს გადავაბრალებდით.

„ხარები“ „არაგვიდან“ დიღმის ბაზაზე დაბრუნდნენ. სწრაფად ჩაალაგეს ჩანთები და გეზი აეროპორტისკენ დაიჭირეს. ახლა ისინი უკვე მშობლიურ პრეტორიაში იქნებიან და მწვრთნელი ჰაიკე მაიერი ქართულ ბახუსს დღეს-ხვალ ერთიანად გამოუბერტყავს თავიდან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge